№ 56
(11 306)
23 – 26 ივლისი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# „რასაც მე ახლა განვაცხადებ, შეიძლება გაგიკვირდეთ კიდეც“ – თქვა ზურაბ აზმაიფარაშვილმა და მართლა გაგვაკვირვა

*კვირას, აშშ-ში მსოფლიოს საჭადრაკო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად უნდა გაემგზავროს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და საქართველოს №1 მოჭადრაკე ზურაბ აზმაიფარაშვილი. თითქოსდა, რა პრობლემა უნდა ყოფილიყო ან ვიზის მიღებაში, სათანადო დოკუმენტების გაფორმებაში, ანდა, ბილეთს ვინ დაუგვიანებდა, ესოდენ მნიშვნელოვანი შეჯიბრების მონაწილეებს.*

საქმე კი, როგორც გამოირკვა, ასე მარტივად არა ყოფილა, და, თანაც მას წინაისტორიაც ჰქონია.

აი, რა განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა და, ერთდროულად, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილემ ზურაბ აზმაიფარაშვილმა.

— რასაც მე ახლა განვაცხადებ, შეიძლება გაგიკვირდეთ კიდეც. იმ კომპიუტერისათვის, რომელიც წყვეტს ამა თუ იმ უცხოელის აშშ-ში შესვლის საკითხს, მეც, მაია ჩიბურდანიძეც და ყველა სხვა ქართველი მოჭადრაკეც ვყოფილვართ, როგორც ამბობენ, „ნონ გრატა“. დიახ, კომპიუტერს ასეთი მონაცემები აქვს. ამ დღეებში თბილისში დაბრუნდა სიმპათიური ახალგაზრდა, საერთაშორისო ოსტატი ზაზა ხოფერია, რომელსაც საერთაშორისო ტურნირში უნდა მიეღო მონაწილეობა. საბაჟოზე ის კარგად გაჩხრიკეს და კომპიუტერის მონაცემებზე დაყრდნობით, უკან გამოაბრუნეს. ერთი სიტყვით, დიდ მორალურ ზიანთან ერთად, ზაზა, რომელიც სრულიად უდანაშაულოა, მატერიალურადაც გვარიანად დაზარალდა.

რატომ, რისთვის? რატომ გადაგვემტერა ეს კომპიუტერი?

საქმე ის არის, რომ ამ ბოლო წლებში ყალბი საბუთებით, ვითომდა საჭადრაკო ტურნირებში სათამაშოდ, აშშ-ში მიემგზავრებოდნენ სულ სხვადასხვა პიროვნებები. ფორმდებოდა სხვადასხვა დოკუმენტი, თქვენ წარმოიდგინეთ, ყალბი ხელმოწერებით. ამის დამტკიცება სულაც არ არის ძნელი და დამნაშავეები აგებენ კიდეც პასუხს.

საქმე კი ნამდვილად გააფუჭეს და ახლა ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მის გამოსასწორებლად. დაგვეთანხმებით, ეს ვერაფერი პროლოგია მსოფლიო პირველობის წინ. მე პირადად აქამდე შვიდჯერ ვყოფილვარ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომ იტყვიან, უბატონოდ ხმა არავის გაუცია, ახლა კი...

**რა თქმა უნდა,** ყველაფერი გამოსწორდება, მაიაც და ზურაბიც მსოფლიო პირველობაზე ითამაშებენ, მაგრამ რა ვუყოთ სირცხვილს, რომელიც მოჭადრაკეებს ნამდვილად არ დაუმსახურებიათ!

რახან ზურაბ აზმაიფარაშვილთან ვიყავით, ამ უსიამოვნო თემაზე საუბრის შემდეგ მაინც მივმართეთ წმინდა საჭადრაკო კითხვებით.

იხ. მე-2 გვ.

# ევროპის მაკაბიადაზე – პირველად!

## ქართულ-ებრაულმა საზოგადოებრიობამ შოტლანდიაში გამგზავრების წინ გზა დაულოცა სპორტულ დელეგაციას

ებრაელ სპორტსმენთა თამაშები ტრადიციად იქცა. ჩვენმა სპორტსმენებმა უკვე მოსინჯეს ძალები მსოფლიო და ევროპის თამაშებში. მსოფლიო სარბიელზე ვაჟმა კალათბურთელებმა იასპარეზეს (VI ადგილი), ევროპის დონეზე კი 4 წლის წინათ, საქართველოდან სამმა სპორტსმენმა იასპარეზა, ოღონდ... დსთ-ს ნაკრებში და სამივე შინ მედლით დაბრუნდა. ამჟამად ევროპის მაკაბიადაზე, შოტლანდიაში, საქართველოდან დამოუკიდებლად გამოვლენ ვაჟი კალათბურთელები, მოჭადრაკე სოფიო ხუხაშვილი და კარატეს ცნობილი ოსტატი დავით ხუხაშვილი.

გამგზავრების წინ დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯამლეთ ხუხაშვილმა სპორტსმენები, მათი მწვრთნელები და ებრაულ-ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ერთმანეთს შეახვედრა „მაკაბის“ თბილისის ოფისში. მიწვეულებმა გზა დაულოცეს დელეგაციას. ჯ. ხუხაშვილმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც პირადი წვლილით და მატერიალური მხარდაჭერით შესაძლებლობა მისცა ქართველ-ებრაელთა სპორტულ დელეგაციას გამგზავრებულიყო შოტლანდიაში.

**სურათზე: საქართველოს სპორტული დელეგაცია ევროპის მაკაბიადაზე გამგზავრების წინ.**


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ფინალში კი გავიდა, მაგრამ რად გინდა...

გამოფენებისა და ბაზრობების ქალაქი ლაიფციგი (გერმანია) მეკლდეურთა მსოფლიო თასის გათამაშებით ერთ-ერთ ეტაპს მასპინძლობდა. ასპარეზობა ჩატარდა უდიდეს სპორტულ მანეჟში აღმართულ ხელოვნური კლდის ტრასებზე – რთულ და სწრაფ ცოცვაში, რომელსაც ათასობით მაყურებელი დაესწრო.

ასპარეზობაზე საქართველოს სახელით გამოდიოდნენ ლენტეხელი ნუკრი გველებიანი და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრი სოფო თვარაძე (გერმანიაში სწავლობს და ვარჯიშობს). ნ. გველებიანს სწრაფ ცოცვაში წარმატების მეტი შანსი ჰქონდა და გაამართლა კიდეც – მოხვდა რვა უძლიერესს შორის და თასის ფინალურ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. დასკვნითი ასპარეზობა ამ დღეებში იტალიის ქალაქ ბაუერგარდში გაიმართება, მაგრამ უსახსრობის გამო ჩვენი მეკლდეური შეჯიბრებაზე ვერ გაემგზავრება (!).


ნუკრი გველებიანი

**კალათბურთი ● კადეტთა ევროპის ჩემპიონატი**

# უკვე რჩეულთა შორის...

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ნაკრებმა, როგორც ვიუწყებოდით, მეოთხედფინალში გასვლა გაინაღდა, დარჩენილი ორი შეხვედრის შედეგს, პრაქტიკული მნიშვნელობა მხოლოდ მოსალოდნელი მეტოქესთან დაწყვილების თვალსაზრისით თუ ჰქონდა. ბერძნებთან მოგება, ცხადია, ძნელი იყო და წავაგეთ კიდეც — 55:79. ბოლო მატჩში მასპინძლებთან, სლოვენიელებთან კი ჩვენმა კადეტებმა გამარჯვება იზეიმეს — 81:73, ჯგუფში რვა ქულით მესამე ადგილზე გავიდნენ, რამაც მათ მეოთხედფინალში საფრანგეთის ნაკრები არგუნა მეტოქედ. ამ გუნდებს შორის გამარჯვებული იუგოსლავია — ლატვიას შორის გამარჯვებულს ეთამაშება.

**ჯგუფის საბოლოო ცხრილი კი ასე გამოიყურება:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 5 | 5 | 0 | 373:326 | 10 |
| საბერძნეთი | 5 | 4 | 1 | 375:326 | 9 |
| საქართველო | 5 | 3 | 2 | 399:390 | 8 |
| თურქეთი | 5 | 1 | 4 | 321:354 | 6 |
| სლოვენია | 5 | 1 | 4 | 328:347 | 6 |
| რუსეთი | 5 | 1 | 4 | 328:381 | 6 |

დავძენთ, რომ ფრანგები ჯგუფში 8 ქულით მეორე ადგილზე გავიდნენ. ხუთიდან სამი მოიგეს და ორი მატჩი წააგეს. ბურთების შეფარდება 351:321.

## წოდების მინიჭება

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ წოდება მიანიჭა:**

**შოთა მინდიაშვილს** – თბილისის 31-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს;
**ვალერი ჯანეზაშვილს** – სს „თბილსრესის“ ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტს;
**ნოდარ ზივზივაძეს** – ქუთაისის სპორტკლუბ „ლოკომოტივის თავმჯდომარეს;
**გურამ ბეჩაშვილს** – სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ დუშეთის სპორტსკოლის დირექტორს;
**ირაკლი ნათიძეს** – განათლების სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს („ლელოს“ წინა ნომერში შეცდომით იყო მოხსენიებული დამსახურებულ მწვრთნელთა შორის);
**შოთა ვახანიას** – აფხაზეთის ა/რ სპორტის ვეტერან მუშაკს.

# გაჭირვებამ რა ჰქნა?..


ავთანდილ ბერიძე

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, კერძო დეტექტივისა არ იყოს, სპორტის კერძო ინსტრუქტორებიც არიან, მეტწილად ისეთები, რომლებიც ამა თუ იმ სპორტსმენს ეხმარებიან თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში. მძლეოსნობას ტყუილად როდი უწოდებენ სპორტის საფუძველთა საფუძველს. მის შესაძლებლობებს გვერდს ვერავინ აუვლის.

მძლეოსნობის სპეციალისტმა ავთო ბერიძემ ჩვენში პირველმა მოისაზრა გაეხსნა, ვთქვათ პირობითად — „საავტორო სკოლა“, სადაც კარი ყველასთვისაა ღია. სახელი მალე გაუვარდა — ვინ არ აკითხავს, ვის არ ნახავთ მასთან დასახმარებლად მისულს. კალათბურთელი ირაკლი ვაშაკიძე, ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე, სამთომოთხილამურე, პირველი ქართველი ოლიმპიელი ქალიშვილი სოფიო ახმეტელი, ფეხბურთელები რეზო არველაძე, ვიტალი დარასელია, მორაგბე არჩილ ქავთარაშვილი, „ვიტა“ მთელი შემადგენლობით, წყალბურთელები, მთამსვლელები, თვით მძლეოსნები, მოკლედ, ყველა, ვისაც სპორტული მომზადების სრულყოფა განუზრახავს ავთო ბერიძესთან მიდის და კმაყოფილიც რჩება.

— გაჭირვება რომ არა, ალბათ არასდროს ვიფიქრებდი, რომ შეიძლებოდა ასეთი საქმისთვის მომეკიდა ხელი, თანაც რას წარმოვიდგენდი ამდენი სპორტსმენი თუ მომაკითხავდა. ბედნიერი ვარ, რომ მათ სჯერათ ჩემი და, რაც მთავარია, შედეგს ხედავენ — ამბობს ავთანდილ ბერიძე.

**დოპინგი**

# თავი ვერ იმართლა...

სტამბულში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი სპორტის საწყლოსნო სახეობებში, სადაც რუსეთელ იულია პახალინას „ცხვირწინ მიუხურეს კარი“. საქმე იმაშია, რომ ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი პახალინა „გრან-პრის“ ერთ-ერთ ეტაპზე, მექსიკაში, ანაბოლიკების მიღებაში უმხელიათ. სპორტსმენმა განაცხადა, რომ თავი სტკიოდა და ორი აბი ციტრამონი მიიღო, მერე კი ყავა დალია. მაგრამ ვინ დაუჯერა, ანალიზს კი დაუჯერეს. სინქრონულ ხტომებში პახალინას ნაცვლად ვერა ილინა იასპარეზებს.

**ევროპის ყველა ჩემპიონატი**



იხ. მე-5 გვ.

**ინგლისი 1996**

*ესპანელმა დევიდ ეჩებერიამ „ტურ დე ფრანსის“ მეთექვსმეტე ეტაპი მოიგო. საერთო ჩათვლაში დაწინაურებულთაგან ამ ეტაპზე ათეულში ბევრი ვერ მოხვდა, თუმცა, ლიდერი არ შეცვლილა — წინ კვლავ ამერიკელი ლანს არმსტრონგია — 78 სთ. 02 წთ და 53 წმ. უახლოეს მდევარს ესპანელ ფერნანდო ესკარტინის ლიდერი 6 წუთით და 15 წამით უსწრებს.*



დევიდ ეჩებერია

## რუბრიკის პრემიერა:
### «სპორტის მომაკვდავი სახეობები»

**წერილმა, რომელიც „ლელოს“ თანამშრომელმა ცხენოსნობასთან დაკავშირებით მოამზადა, საბოლოოდ განგვიმტკიცა აზრი, რომ საქართველოში უსახსრობამ სპორტის არაერთი და ორი სახეობა მიიყვანა დასამარებამდე. ამ ვითარებამ გვიკარნახა ახალი რუბრიკა: „სპორტის მომაკვდავი სახეობები“. ჩვენ ფაქტებს დავაფიქსირებთ. მომავალმა იცის, ვის მოსთხოვოს პასუხი.**

იხ. მე-2 გვ.

**ლარის ოფიციალური კურსი 1 აშშ დოლარი – 1.8900 ლარი.**

# შეიკრიბნენ მოსკოვში, დაშორდნენ ფიცით, რომ მშობლიურ თბილისში შეხვდებიან ერთმანეთს...

გვარები, რომლებსაც ამ წერილში ამოიკითხავთ, უფროსი თაობის მკითხველს წარსულის სიამაყს განაცდევინებს. ეს ადამიანები სხვადასხვა წლებში რაინდულად იცავდნენ საქართველოს და სპორტსაზოგადოება „დინამოს" სპორტულ ღირსებას საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში. დღეს კი თითოეული მათგანი, ასაკში განსხვავების მიუხედავად, საქართველოს ვეტერანი თანამედროვე ხუთჭიდელია, „ხუთი სახეობის რაინდთა" სხვადასხვა თაობის ერთი სიმბოლური ეროვნული ნაკრებია. ზოგიერთი საქართველოში სპორტის ამ სახეობის დამკვიდრებას უყრიდა საფუძველს, ზოგი უფროსების გაკვალულ გზას გაჰყვა და შემდეგ თავად იქცა ორიენტირად მომდევნო თაობისთვის. მემკვიდრეობა კი ამ საუკუნის 50-იანი წლებიდან იღებს სათავეს.



სად არიან დღეს სახელოვანი ვეტერანები? ბედი მათ სხვადასხვა ქვეყანაში წარუძღვა. ყველაზე ტიტულოვანი ვახტანგ იაგორაშვილი ამერიკის მოქალაქე გახდა. ისედაც მცირერიცხოვან ამქრიდან (სპორტის ეს სახეობა, სირთულის გამო, ჩვენში მასობრივი არასდროს ყოფილა) ყველაზე მეტი მაინც ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებში აღმოჩნდა. წლები გადის, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ივიწყებს საქართველოს, ცხადია, ახსოვთ ერთმანეთი და სხვები იგონებენ წარსულს და ენატრებათ ურთიერთი. თუმცა, მოინდომე და გვერდიგვერდ ყოფნა კიდევ შეიძლება, დროებით მაინც. ასე აღმოჩნდნენ ერთად ამ დღეებში საქართველოს სხვადასხვა პერიოდის დინამოელი თანამედროვე ხუთჭიდელები. შეხვედრის ადგილი — მოსკოვი. დიახ, დინამოელები, რადგან ყველაზე მეტად, ტრადიციულად, სწორედ სპორტული საზოგადოება „დინამო" ზრუნავდა ჩვენში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის. ყველა მათგანის სპორტული და ცხოვრებისეული მიღწევების სრული ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ მათ შორის არიან სხვადასხვა სპორტული ასპარეზობის ჩემპიონები და პრიზიორები, სპორტის ოსტატები, დამსახურებული მწვრთნელები, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები, და... პარალელურად მეცნიერები, პროფესორები და კანდიდატები, ორგანოების თადარიგის მაღალჩინოსნები, ბიზნესმენები, სპორტის მუშაკები...

ეს იყო ამაღელვებელი და დაუვიწყარი შეხვედრა წარსულთან და ერთმანეთთან, შეხვედრა ერთმანეთის მოსაფერებლად, გარდასულ დღეთა გასახსენებლად, ქართულ ენაზე სალაპარაკოდ და მადლიანი საქართველოს სადღეგრძელოს შესასმელად. დილით შეკრებილები გვიან ღამით დაშორდნენ ერთმანეთს, დაშორდნენ იმის რწმენით, რომ მომავალში კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს... უკვე მშობლიურ თბილისში.

**აი, ისინი საქართველოს სხვადასხვა დროის თანამედროვე ხუთჭიდელები. მარცხნიდან. I რიგში:** ***გენადი ბატრაკოვი*** — სპ. ოსტატი, მაიორი, მოსკოვი (შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი); ***ვლადიმერ კალინინი*** — სპ. ოსტატი, ნიჟნი-ნოვგოროდი; ***იგორ ბრიზგალოვი*** — საერთაშორისო კლასის სპ. ოსტატი, ბიზნესმენი, მოსკოვი; **მეორე რიგში:** ***გიორგი გოგუაძე*** — სპ. ოსტატი, მოსკოვი; ***ანატოლი პევცოვი*** — სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს პირველი ნაკრების წევრი (მანჯავიძე, მიხაილიცკი, პევცოვი), მოსკოვი, მწვრთნელი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი; ***არჩილ მელია*** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოფილი რექტორი, თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე, მოსკოვი; ***ვალერი როგავა*** — მეცნიერებათა კანდიდატი, „ხუთჭიდელთა პოლკის შვილობილი", ბიზნესმენი (შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი); ***ფიოდორ პარტნოვი*** — სპ. ოსტატი, პოდპოლკოვნიკი, სანკტ-პეტერბურგი; ***იური მურომცევი*** — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ქ. გომელი; ***ანატოლი კუზნეცოვი*** — 50-იანი წლების ვეტერანი ხუთჭიდელი, პენსიონერი, სარაკეტო ჯარების პოლკოვნიკი, მოსკოვი; ***იური ბოროდინი*** — სპ. ოსტატი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ქ. რეუტოვო; ***ალექსანდრ ბაროტი*** — სპ. ოსტატი, სპორტული მუშაკი, სანკტ-პეტერბურგი; ***ვალერიან (სულიკო) როგავა*** — სპ. ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, პირველი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი საქართველოდან, პენსიონერი, შსს პოლკოვნიკი, მოსკოვი; ***ვალერი ლუდნიოვი*** — სპ. ოსტატი, შსს პოლკოვნიკი, მოსკოვი.





*ამ ორ სურათს შორის 40-წლიანი ზღვარია. მარცხენა ფოტო გადაღებულია 1959 წელს, მეორე — 1999 წელს. ფოტოებზე ერთი და იგივენი არიან აღბეჭდილნი — მარცხნიდან იური მურომცევი, ანატოლი პევცოვი, სულიკო როგავა. 1959 წელს სამივე საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები იყვნენ საქართველოდან. მარცხენა ფოტო 1959 წელს გამოქვეყნდა „ლელოში" (№123).*

**სპორტის მომაკვდავი სახეობები**

# ფინანსისტმა — „ბანკეტი" ზედმეტიაო...

ცხენოსნობა ერთი იმ სპორტის სახეობათაგანია, რომლის შეჯიბრებების ხარჯები აღარ იგეგმება და სპორტლონისძიებათა კალენდრის იმ გრაფაში, სადაც დამფინანსებელი ორგანიზაცია უნდა იყოს მითითებული, ჩაწერილია „ფედერაციის ხარჯებით". ფედერაცია კი არც სახელმწიფო სტრუქტურაა და არც კომერციული ორგანიზაცია. წესით ხელშეკრულებით სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი იძლევა შეკვეთას და შესაბამისად თანხასაც გამოჰყოფს. მაგრამ რაც არ არის, რას მისცემს ფედერაციას დეპარტამენტი. ჰოდა ასე, გინდა ჩაატარე შეჯიბრება, გინდა ნუ ჩაატარებ. სპორტი კი უშეჯიბრებოდ რა ბედენაა. მოკლედ, გინდა მოკვდი, გინდა — დარჩი!

და კვდება. კვდება იმიტომ, რომ ცხენოსნობა ძვირადღირებული სპორტის სახეობაა — ცხენი, ამუნიცია, დაბრკოლებების კომპლექტი, შეჯიბრებების სპეციფიკურობა დიდ სახსრებს მოითხოვს. აფხაზეთში, რაც მოხდა, ყველამ იცის, საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო კლუბები გაუქმდა, მხოლოდ აქა-იქ შემორჩა რამდენიმე ცხენ-მხედარი, ისიც ენთუზიასტთა წყალობით. თბილისის საცხენოსნო ბაზა სპორტის დეპარტამენტმა დროულად იხსნა დახურვისგან — შინაგან ჯარებს გადასცა ბალანსზე. ახლა ამ ბაზის ცხენებს შიმშილისგან ფიზიკური განადგურება მაინც აღარ ემუქრება. ცხადია, ცხენოსნობა ფედერაციის სახსრებით ვერ იარსებებს. ინვენტარის მოძველებისა და სრული გაუვარგისობის გამო, 4 წელიწადია თბილისში საქართველოს პირველობა არ ჩატარებულა. ახლა თუ ამის საშუალება კიდევ გაჩნდა, ეს იპოდრომის დირექტორის ლაშა ჯაიანის დამსახურებაა, რომელმაც შექმნა სპორტული კლუბი „ჟოკეი", შეიძინა დაბრკოლებების კომპლექტი. ხოლო, თუ რა ძვირი ჯდება თუნდაც ერთი დასახელების წინაღობა, ადრე ანეკდოტად ქცეულ ერთ ამბავს გავიხსენებთ. სამჭიდის კომპლექტში ერთი დარკოლებაა, რომელსაც ჰქვია „ბანკეტი". 60-იან წლებში საფინანსო ორგანოს ხელმძღვანელს წინაღობათა კომპლექტში „ბანკეტი" და მის დასამზადებლად მოთხოვნილი 3 ათასი მანეთი გადაუშლია და იქვე მიუწერია — „ზედმეტია!" — უფიქრია, ფულს ღრეობისათვის ითხოვენო.

ზემოხსენებულმა კლუბმა „ჟოკეიმ" თბილისში ცხენოსნობის ეროვნული სახეობების აღორძინებასაც მოჰკიდა ხელი. 1949 წლის შემდეგ დედაქალაქელ მხედრებს არ უასპარეზიათ ეროვნულ სახეობებში. იპოდრომის დირექციამ ახლა შეიძინა ფორმა და ინვენტარი. „თუ ეს ტემპი არ განელდა, უახლოეს ხანში უძლიერესი ცხენოსნები გვეყოლება" — ამბობს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რევაზ მანჯავიძე. კლუბის წევრები გულმოდგინედ ემზადებიან ეროვნულ სახეობებში საქართველოს წლევანდელი პირველობისთვის, რომელიც სამტრედიაშია დაგეგმილი აგვისტო-სექტემბერში. მაგრამ ჩატარდება კი? დამფინანსებელი ჯერ არ ჩანს.

ამ დღეებში კი პირადი შეწირულებით ფედერაციამ თბილისში ჩაატარა ახალგაზრდა მხედართა პირველობა დაბრკოლებათა გადალახვაში.




***ორჭიდი. კონკური სამანეჟო სვლა:*** 1. გოჩა გიორგობიანი (თბილისის შინაგანი ჯარები), 2. ლევან ფანცულაია („სტიხი", განათლების სამინისტროს სპორტსკოლა), 3. დენის ციგანკოვი (ფოთი).

***გახსნის პრიზი:*** 1. ლევან ფანცულაია, 2. გიორგი სამხარაძე („ჟოკეი"), 3. ირაკლი მარკოზაშვილი (განათლების სამინისტროს სპორტსკოლა).

***სიჭაბუკის თასი:*** 1. გიორგი სამხარაძე, 2. ირაკლი ნარმანია (შინაგანი ჯარები, ოჩამჩირე), 3. ირაკლი მარკოზაშვილი.

***გუნდური:*** 1. შინაგანი ჯარები, 2. განათლების სამინისტროს სპორტსკოლა, 3. კლუბი „ჟოკეი".

უშანგ ჯიჯინაძე

**თქვი, რაც გინდა...**

# რას უმზადებს ქართულ სპორტს ხელისუფლება?

**ციტატა:** „ქვეყნის ფიზიკური სიჯანსაღე, საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული წარმატებით განმტკიცებული რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში, ეტყობა ხელს არ აძლევს იმ ე.წ. პროდასავლურ კურსს, რომელზედაც ჩვენი პატივცემული ხელისუფლების და პარლამენტის გარკვეული ნაწილია „ორიენტირებული". ხელს არ აძლევს იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ახალ მსოფლიოში საქართველოს და მისი მოსახლეობის უმეტესობისათვის წინასწარ განკუთვნილი მარიონეტის და მეორეხარისხოვანი როლის მინიჭება. ქვეყანას, რომელსაც წარმატება აქვს სპორტსა და ხელოვნებაში, ხომ შეიძლება პრეტენზიები გაუჩნდეს სხვა სფეროებშიც. ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს დაფიქრდეს და შეცვალოს უცხო ქვეყნების მიერ თავსმოხვეული კაბალური კანონები.

მოვლენების ასეთი განვითარება დასავლეთს დაყარგვინებს მოპოვებულ ბაზარს — შემოსავლების ახალ წყაროს. რაღა თქმა უნდა, იგი შეეცდება ეს არ დაუშვას საქართველოშივე მცხოვრები და ძალაუფლებაში მოკალათებული, მათდამი მორჩილი არსებული პოლიტიკური ძალების ხელშეწყობით.

სწორედ ამიტომ ხომ არ არის განსაკუთრებულ სამიზნედ ამოღებული ქართული სპორტი — ქვეყნის პოტენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ატრიბუტი!"

ასეთ გულისტკივილს გამოხატავს პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო" გაზეთ „დროში" (1999 წლის 30 მარტი). თან დასძენს, სპორტის დაფინანსება, რატომღაც 30 პროცენტით შემცირდა. არც ერთი დარგი ასე არ დაზარალებულა. თუ ინფლაციასაც გავითვალისწინებთ, სპორტის დაფინანსება შემცირებულია 72 პროცენტით, ხოლო წლის ბოლოსათვის ინფლაციის დონის ზრდასთან ერთად ეს პროცენტი გაცილებით გაიზრდება.

პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო" სთხოვს ქვეყნის პრეზიდენტს. საზოგადოებას. ხმა ავიმაღლოთ იმ დამღუპველი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მორიგი მსხვერპლი ამჯერად ქართული სპორტი და ერის სიჯანსაღე ხდება.

ბოლო სიტყვებმა და თხოვნამ ამაღებინა ხელში კალამი. მე, როგორც რეპრესირებული პიროვნება, სპორტის ოსტატი, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი, პროტესტს ვუცხადებ ხელისუფლებას, რომელმაც ჩაასვენა და ფუნქცია მოუშალა მთელ რიგ დარგებს. ამჟამად სპორტის ჯერი დადგა;

ჩემო კოლეგებო! „სპორტული საქართველოს" ხელმძღვანელებო! დაგაგვიანდათ განგაშის ატეხვა. ყველას კარგად უნდა გცოდნოდათ, რომ დიდი სპორტი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებით იწყება. რასაც თქვენ დღეს დიდი გულისტკივილით გამოხატავთ, მისაღებია, მაგრამ დაგაგვიანდათ! დაგვიანებულის ფონზე დამარცხებულად სჩანხართ!

განა, ამ წერილის ავტორისადმი დამოკიდებულებაში არ გამოჩნდა, ერის სიჯანსაღის ჩასვენება? მე ხომ სრულიად უდანაშაულო პედაგოგს (დანაშაულში ჩამეთვალა ეროვნულ მოძრაობაში აქტიურობა), ვამპირად აღზრდილი 12 ახალგაზრდა მომისიეს ფსიქოლოგიური ზეწოლისათვის. მერე ესეც არ იკმარეს და მინისტრის ბრძანების ორივე ადგილიდან (მეთოდისტობიდან და პედაგოგობიდან) გამათავისუფლეს. სხვადასხვა გაზეთმა ეს თავის დროზე აღნიშნა, მაგრამ, ამაოდ. არ აღმოჩნდა განათლების თუ „სპორტული საქართველოს" ხაზით პიროვნება ხმას რომ აიმაღლებდა. არავინ დაინტერესებულა შეესწავლა ჩემი პიროვნება, შეესწავლა 150-ე საშუალო სკოლა, თუ რა შედეგი მიიღეს იქ ჩემი განთავისუფლებით! რა ბედია ეწია ფიზაღზრდის გაკვეთილებს. გეკითხებით, იყო თუ არა, მაშინდელი დუმილი, და განათლების მუშაკების მოქმედება გამიზნული პოლიტიკა, დიდი სპორტის ჩასვენებისა, რაზედაც თქვენს დიდ უკმაყოფილებას გამოხატავთ დღეს?

ერთი კი ფაქტია. ვიწრო წრეში ვთქვი მაშინ: — ჩემი სკოლიდან დათხოვნით იწყება ერის ჯანმრთელობის უგულებელყოფა, ფიზაღზრდის სისტემის მოშლა სკოლებში და დიდი სპორტის ალსასრული-მეთქი. თქვენი განცხადების წაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს ადრე ნათქვამს. ოღონდ იცოდეთ, სადაც უნდა ვიყო, ჩემი მოვალეობა იყო და იქნება მოზარდი თაობის ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა — მიგულეთ თქვენს გვერდით.

ცხოვრების უკუღმართობით ახლა საფუძვლები სპორტსაც შეერყა. მოდით, უიმედობას ნუ მივეცემით, უიმედობას სხვისი იმედით ყოფნა სჩვევია. დავდგეთ ერთად, ვსწორდეთ ერთად საქართველოსთვის!.. ვეცადოთ, გამოვიყენოთ ის ორი ათასი საბრძოლო ილეთი, რომელიც ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ და მერწმუნეთ ვერც შინაური და ვერც გარეშე მტერი ვერას დაგვაკლებს!!

ეთერ ხახუბია,
სპორტის ოსტატი

## „რასაც მე ახლა განვაცხადებ..."

(პირველი გვერდიდან)

● ***თქვენ ასპარეზობაში 2 აგვისტოდან უნდა ჩაებათ, მეორე წრიდან. ხვდებით ნისიპეანუ (რუმინეთი) — ჯურიჩის (იუგოსლავია) შორის გამარჯვებულს, სადაც ძალიან კარგი პერსპექტივები გაქვთ...***

— გეთანხმებით, მაგრამ თუ ვიზა დროზე არ მივიღე, მე საერთოდ უარს განვაცხადებ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებაზე. მე იქ გასართობად კი არ მივდივარ, არამედ გარკვეული ამოცანები მაქვს. უკანასკნელ მომენტში ლას-ვეგასში ჩაფრენილი მოჭადრაკე წარმატებაზე ვერც კი იფიქრებს.

● ***იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი მოგვარდება. თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, რატომ იყო სულ უკანასკნელ მომენტამდე გაურკვეველი ლას-ვეგასში მსოფლიო ჩემპიონ (ფიდეს ვერსიით) ანატოლი კარპოვის მონაწილეობის საკითხი?***

— მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონატი თავდაპირველად გასული წლის დეკემბერში უნდა ჩატარებულიყო, შემდეგ იანვრისთვის გადაიდო. ამან კარპოვის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შემდეგ პირველობა კვლავ და კვლავ გადაიდო, ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, ტარდება. კარპოვი იმუქრებოდა, რომ საერთოდ არ ითამაშებდა. ბოლოს მისი (უნდა ვიფიქროთ, სოლიდური) ფინანსური მოთხოვნები დააკმაყოფილეს და კარპოვიც დაიყოლიეს.

● ***მონაწილეთა სიაში საკმაოდ მოულოდნელად გამოჩნდა მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი გატა კამსკი, რომელიც თავის დროზე ანატოლი კარპოვთან ელისტაში მატჩის წაგების შემდეგ ჩამოცილდა ასპარეზს. იგი მართლა ითამაშებს, თუ როგორც ეს ხდება ხოლმე, სათადარიგო მოჭადრაკით შეიცვლება?***

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კამსკისთან იყო წინასწარი მოლაპარაკება და იგი დათანხმდა ითამაშოს.

● ***სათადარიგოთა შორის გია გიორგაძესაც ხომ ჰქონდა ერთგვარი იმედები?***

— დიახ. იგი ლას-ვეგასში მიემგზავრება და იქ ადგილზე გაირკვევა არის თუ არა შეჯიბრებაში გიას ჩართვის საშუალება.

## ? შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** ამას წინათ, ერთ რუსულ გაზეთში ამოვიკითხე, რომ რუსეთის ჩემპიონატში ფეხბურთის მსაჯებს უფლება აქვთ 48 წლის ასაკამდე იმსაჯონ. როგორც ამბობენ, ჩვენთან ზღვრული ასაკი უფრო დაბალი ყოფილა. გვაინტერესებს, კონკრეტულად როგორია ეს ასაკი?

*მამუკა ჯიქია (ზუგდიდი)*

**პასუხი:** სწორეა, რუსეთში მართლაც 48 წლამდე მსაჯობენ არბიტრები ფეხბურთის მატჩებს. საქართველოში ზღვრულ ასაკად დადგენილია 45 წელი. მაგრამ თუ მსაჯი აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, როგორც გამონაკლისი, სფფ-ს სამსაჯო კომიტეტს შეუძლია მას გაუხანგრძლივოს მსაჯობის ვადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA UNDER-18 Championship

## ფეხბურთი 18 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

# ფინალში ვერ გავედით, მაგრამ კარგად ვთამაშობთ – ხომ გენიშნათ ნაცნობი თავმოწონება!

ზოგჯერ საკუთარ თავშიც და შეგირდებშიც სცდება მწვრთნელი, ანდა, იქნებ ემოციებს იყო აყოლილი, როცა იტალიელებთან 0-2 დამარცხების შემდეგ ვახტანგ კოპალეიშვილმა განაცხადა: „ასეთი იოლი მეტოქე აღარ შეგვხვდება!“ ბევრმა მწვრთნელის ეს სიტყვები ისე გაიგო, ამის შემდეგ მატჩები რომ წავაგოთ, აღარ გაგიკვირდეთო. ირლანდიელებთან რომ იოლი მატჩი არ გვექნებოდა, ცხადი იყო. ისინი ხომ თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონები არიან. მაგრამ ეს მატჩი, ჩვენმა ბიჭებმა, თვით მწვრთნელისგან გასაოცრად კარგად, შემართებით ითამაშეს და იგივე ვახტანგ კოპალეიშვილი აღფრთოვანებული იტყვის, რომ ეს იყო 18 წლიანთა საუკეთესო მატჩი ბოლო ორი წლის მანძილზე.

ანგარიში ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტებმა ირლანდიელებმა მე-4 წუთზე გახსნეს ბარეტის დარტყმის შემდეგ, მაგრამ, სულ რაღაც ერთ წუთში, მენთეშაშვილმა გაქვითა ეს ბურთი კუთხურის ჩამოწოდებიდან. ძნელია ითქვას, რომ გამოკვეთილი უპირატესობა პირველ ტაიმში ერთ-ერთ გუნდს ჰქონდა, მაგრამ მეორე ნახევარში ქართველთა გააზრებულმა მოქმედებებმა საკმაოდ მოაქცია ჩრდილში მეტოქე, თუმცა, საბოლოოდ ფრეს დასჯერდა – 3-3. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში ირლანდიელებმა ესპანელებს სძლიეს, გუნდს, რომელსაც ლიდერად მიიჩნევდნენ. მეორე ნახევარში ოთხი ბურთი გავიდა. ჯერ გაგუამ დააწინაურა თავისიანები. ეს მოხდა 55-ე წუთზე, მაგრამ დაახლოებით 10 წუთი ვიყავით წინ – ფიცპატრიკმა წონასწორობა 69-ე წუთზე აღადგინა – 2-2. შემდეგ ისევ გაგუამ გაიტანა გოლი – 3-2 (85), მაგრამ აქ განმეორდა იგივე, რაც მატჩის დებიუტში მოხდა – ზუსტად ერთ წუთში გავიდა საპასუხო გოლი (დოპერტი) 3-3. დარჩენილ ოთხ წუთში ანგარიში უცვლელი დარჩა.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი, ე. საჯაია, აბრამიძე, ზ. მენთეშაშვილი, დილმელაშვილი, ო. გველესიანი (დევიძე, 31), გ. მიქაძე (ლ. ნოზაძე, 30), იმედაძე (კორღალიძე, 85), ვ. გაგუა.

ახლა ჩვენი არ იყოს, ესპანელებმაც დაკარგეს ფინალში ასპარეზობის შანსი, რადგან მათაც ფრე – 3-3 ითამაშეს იტალიელებთან. ამ მატჩს ჯერჯერობით მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა – 8 000 დაესწრო. ირლანდიელებთან ჩვენების მატჩზე კი 1000 კაციც არ შეიკრიბა ტრიბუნებზე.

საქართველოს ნაკრები ესპანელებთან ჩაატარებს ბოლო მატჩს. როგორც ითქვა, ორივე გუნდი ფინალის მიღმა რჩება და, ამდენად, ეს შეხვედრა, მაინცდამაინც ინტერესს არ იწვევს.

**მიმომხილველი**

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

● **საფრანგეთის** ნაკრების ყოფილი მეკარე ბრუნო მარტინი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელად დაინიშნა.

37 წლის გოლკიპერმა ეს-ეს არის დაამთავრა მოთამაშის კარიერა. მას რამდენიმე წინადადება ჰქონდა ფრანგული კლუბებისაგან, მაგრამ ეროვნული ნაკრების მეკარეებთან მუშაობა ამჯობინა.

● **როგორც იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბრანკო ბულატოვიჩმა განაცხადა, იუგოსლავიის ნაკრების ამას წინათ განთავისუფლებული მთავარი მწვრთნელის, მილან ჟივადინოვიჩის ნაცვლად დანიშნულია ცნობილი სპეციალისტი ვუიადინ ბოშკოვი.**

**– ბოშკოვი სწორედ ის კაცია, ვინც ნაკრებს სჭირდება. ეს უდიდესი სახელი გახლავთ იუგოსლავიის ფეხბურთში.**

● **„ალენსიის“** ხელმძღვანელობა, ბოლოს და ბოლოს, დამშვიდდა. მისმა წამყვანმა ფეხბურთელმა, შესანიშნავმა არგენტინელმა თავდამსხმელმა კლაუდიო ლოპესმა, რომელსაც მადრიდის „ატლეტიკოც“ ეპატიჟებოდა და რომის „ლაციოც“, თანხმობა განაცხადა დარჩეს კლუბში.

ახლა არგენტინელი წელიწადში 3 მილიონ დოლარს მიიღებს. იმ კლუბმა კი, რომელიც შემდეგში კლაუდიო ლოპესის შეძენას მოინდომებს, არც მეტი, არც ნაკლები, 60 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს.

● **34 წლის რომარიოს განცხადებით, იგი „ფლამენგოს“ ერთგულია და თავის კარიერას სწორედ ამ კლუბში დაამთავრებს. მან ამას წინათ მექსიკის „ამერიკისაგან“ მიწვევას უარით უპასუხა.**

**– იქ ორი წელი უნდა მეთამაშა, რისთვისაც 8 მილიონ დოლარს მივიღებდი, რაც ჩემი ასაკის მოთამაშისათვის ცუდი არ არის, მაგრამ ჩემთვის „ფლამენგო“ ფულზე მეტს ნიშნავს.**

**„ფლამენგოს“ ფეხბურთელს 3,5 მილიონი დოლარი ვალი აქვს, მაგრამ კლუბი მალე აპირებს მის დაფარვას.**

● **ომარ თეთრაძეს**, როგორც ცნობილია, მძიმე ტრავმის გამო „რომას“ დატოვება მოუხდა. მკურნალობა მან იტალიაში გააგრძელა და ახლა, როგორც ფიქრობენ შეიძლება თამაში „უდინეზეში“ გააგრძელოს.

● **როგორც ზინედინ ზიდანმა განაცხადა, იგი სავსებით გამოჯანმრთელდა. მან ხომ უკანასკნელი სეზონის ბოლო ნაწილი ტრავმის გამო გააცდინა.**

**– სავსებით მზად ვარ ახალი სეზონისათვის. მინდა, რომ „იუვენტუსმა“ და საფრანგეთის ნაკრებმა ყველა შეჯიბრებაში გაიმარჯვონ. მთავარი მატჩი კიევში გვექნება. იმ მომენტისათვის უკვე ნამდვილად კარგად მომზადებული ვიქნები.**

● **მადრიდის** „რეალს“ მარსელის „ოლიმპიკისაგან“ თავდამსხმელ ფლორიან მორისის შეძენა სურს. მწვრთნელი ჯონ ტოშაკი თვლის, რომ მორისი და მორიენტესი ძალიან კარგ დუეტს შეადგენენ. „რეალი“ მორისში 10 მილიონ დოლარის გადახდას აპირებს.

● **საფრანგეთის პირველ დივიზიონში გადასულმა „სედანმა“, რომელიც კარგ სნაიპერს ეძებს, დაიწუნა ცნობილი რუსი თავდამსხმელი ოლეგ სალენკო. ამის შემდეგ საწვრთნელ შეკრებაზე მიიწვიეს „როსტსელმაშის“ თავდამსხმელი ალექსანდრ მასლოვი, რომელსაც ესპანეთის „ალბასეატესა“ და შვეიცარიის „ქსამაქსში“ თამაშის გამოცდილება აქვს.**

**„სედანის“ მწვრთნელი პატრიკ რემი არც მასლოვით დარჩა კმაყოფილი. „მასლოვს უფრო გადაცემა შეუძლია, ვიდრე გოლის გატანა. ასეთი მოთამაშეები უკვე მყავს“.**

## თამაზ ბარამიძის მემორიალი

სოფელ ჩაისუბანში (ხელვაჩაურის რაიონი) ბათუმის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ადმინისტრატორის, ეროვნული მსაჯის, ამ სოფლის მკვიდრის, თამაზ ბარამიძის ხსოვნის პრიზი გათამაშდა ყმაწვილ ფეხბურთელთა შორის (1985-1986 წლებში დაბადებულნი).

პირველ ნახევარფინალში ბათუმის „დინამო-1“-მა მოუგო მენავთობეთა ქარხნის თანატოლებს – 1-0, გოლი გაიტანა ტარიელ ტარიელიძემ. თბილისის დინამოელებმა სამტრედიის ლოკომოტიველებთან გაიმარჯვეს – 5-1.

ფინალში თბილისელ და ბათუმელ თანატოლთა პაექრობაში უძლიერესი უშუალო თამაშში ვერ გამოვლინდა. პენალტების სერიაში მასპინძლებმა იმარჯვეს – 5-5 (მწვრთნელები ომარ ნაგერვაძე, გივი იმნაძე).

მესამე საპრიზო ადგილი მსაჯთა კოლეგიამ ბათუმის მენავთობეთა დაბის (მწვრთნელი ზურაბ ძნელაძე) და ზუგდიდის „ლაზიკას“ (მწვრთნელი ბოჭორიშვილი) გუნდებს მიანიჭა.

საუკეთესოდ აღიარეს: მეკარე კახა ახალაძე, მცველი თამაზ ვერძაძე (ორივე – ბათუმის „დინამო-1“), თავდამსხმელი ბექა ძნელაძე (ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა), 7 გატანილი ბურთით ბომბარდირი გახდა თორნიკე ებუნია („ლაზიკა“). ტურნირის სტუმრებს სამაგალითოდ უმასპინძლეს.

**ოთარ მურვანიძე,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**
**ბათუმი.**

## რუსეთელი მსაჯები თავისას არ იშლიან, ახლა შინაურებს აწყვეტენ ნერვებს...



ქართული ფეხბურთისთვის და გულშემატკივრებისთვის კარგადაა ცნობილი ის თავნებობა, რასაც რუსეთელი მსაჯები საქართველოს გუნდების მიმართ იჩენდნენ საკავშირო გათამაშებაში. ეტყობა დღევანდელ „დემოკრატიულ რუსეთში“ გაცილებით ადვილია მსაჯებთან გარიგება და ერთ-ერთი გუნდის ხელაღებით დაჩაგვრა მეორის სასარგებლოდ.

მოსკოველმა მსაჯმა ანოხინმა რუსეთის ჩემპიონატში „ალანია“ – „როტორის“ შეხვედრისას გამჭვირვალე ცინიზმის რამდენიმე კლასიკური მაგალითი გამოავლინა. აქაოდა, „როტორი“ მაინც წყალწაღებულიაო, მსაჯი „ალანიას“ უბოდიშოდ მიემხრო. ჯერ საეჭვო გოლი დააფიქსირა, მერე ვოლგოგრადელებს არ ჩაუთვალა გატანილი ბურთი, 67-ე წუთზე კი მათვე პენალტი „დაუდო“. აღშფოთებულმა სტუმრებმა „ალანიას“ სათამაშო მინდორი მიატოვეს და მატჩი შეწყდა. ანგარიში ამ დროს 1-1 იყო, (მასპინძელთაგან გოლი დემეტრაძემ გაიტანა). ახლა სიტყვა ფედერაციაზეა. ალბათ ტრადიცია ძალაშია, მსაჯებს ხომ იშვიათად ამტყუნებდნენ.

**სხვა შედეგები:** შინიკი – სპარტაკი 1-2, დინამო – ტორპედო 1-1, ჟემჩუჟინა – სატურნი 2-0, ჩერნომორეცი – ზენიტი 1-0, ურალანი – ცსკა 1-1, ლოკომოტივი – ნოვგოროდი 3-1 (ორი გოლი ჯანაშიამ გაიტანა), კრილია – როსტსელმაში 0-0.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 21 | 15 | 4 | 2 | 45-16 | 49 |
| ლოკომოტივი | 17 | 12 | 2 | 3 | 40-18 | 38 |
| ცსკა | 19 | 10 | 7 | 2 | 36-14 | 37 |
| ტორპედო | 18 | 7 | 9 | 2 | 21-16 | 30 |
| დინამო | 17 | 8 | 4 | 5 | 30-25 | 28 |
| როსტსელმაში | 17 | 7 | 5 | 5 | 20-19 | 26 |
| ალანია | 16 | 7 | 4 | 5 | 31-23 | 25 |
| ზენიტი | 18 | 6 | 7 | 5 | 23-19 | 25 |
| ნ.ნოვგოროდი | 17 | 6 | 4 | 7 | 21-24 | 22 |
| როტორი | 17 | 5 | 3 | 9 | 22-32 | 18 |
| კრილია | 18 | 4 | 4 | 10 | 22-31 | 16 |
| ურალანი | 17 | 4 | 4 | 9 | 11-21 | 16 |
| სატურნი | 18 | 4 | 4 | 10 | 17-29 | 16 |
| ჩერნომორეცი | 17 | 4 | 4 | 9 | 16-29 | 16 |
| შინიკი | 18 | 2 | 6 | 10 | 11-30 | 12 |
| ჟემჩუჟინა | 17 | 1 | 7 | 9 | 11-31 | 10 |

## რა ელის მოსკოვის კლუბებს?!

ახლო წარსულში კარგად ცნობილმა თავდამსხმელმა ანატოლი ილინმა ილაპარაკა ჩემპიონთა ლიგაში მოსკოვის კლუბების „სპარტაკისა“ და ცსკას შესაძლებლობების შესახებ.

„შარშანდელი ჩემპიონატის მიწურულში ცსკას თამაშის ყურება მეტად სასიამოვნო იყო. ახლა? მის თამაშს შეიძლება ვუწოდოთ ცნობილი „დაარტყი და ირბინე“. უკვე აღარაფერი გვაგონებს იმ სწრაფ, სასიამოვნო, შინაარსიან თამაშს. ის გამარჯვებები, რომელიც არმიელებმა აზლანდელ ჩემპიონატში მოიპოვეს, კომბინაციური, გააზრებული მოქმედების შედეგი არ არის. ამას ისიც ემატება, რომ დოლმატოვს პრაქტიკულად არჩევანი არა აქვს, არ შეუძლია შემადგენლობის შეცვლა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ცსკას ჩემპიონთა ლიგაში პერსპექტივა არა აქვს. თუკი ჯგუფურ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა, ეს უზარმაზარი წარმატება იქნება, მაგრამ ეს იღბლის წყალობით თუ მოხდება.

უფრო გამოცდილ და მაღალი ოსტატობის მქონე „სპარტაკს“ უკეთესი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ იგი ვერ მოახერხებს თავისი შარშანდელი წარმატების გაუმჯობესებას. სპარტაკელებს შედეგიანი თავდამსხმელი აკლიათ. ეს კი დიდი პრობლემაა. იურანს სისწრაფე აკლია, შირკოს კი ბურთით ცუდად ამარაგებენ. მხოლოდ ნახევარმცველებზე დაყრდნობით შეიძლება რუსეთის ჩემპიონატში გამარჯვება, მაგრამ ევროპულ თასს ვერ მოიპოვებ. ვფიქრობ, პანოვისა და დემეტრაძის ტიპის თავდამსხმელები არავის აწყენდა, მათ შორის, „სპარტაკსაც“. თუმცა ეს მწვრთნელის გადასაწყვეტი გახლავთ.

## დიდი გეგმები

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, იგი უახლოეს ხანებში აპირებს განაცხადი წარუდგინოს უეფას ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ჩატარების შესახებ.

უეფას გაეგზავნა აგრეთვე განაცხადი ჩემპიონთა ლიგის 1999-2000 წლების გათამაშების ფინალური მატჩის მოსკოვში ჩატარების შესახებ.

# „რაინდულო საქართველოვ, აღსდექ!“

## „გაქვთ კი ქართველებს საბრძოლო ხელოვნებების სისტემები?



80-იან წლებში ქ. მოსკოვში კარატეს საკავშირო (მაშინდელი) სემინარებზე ყოფნისას გავიგე, რომ იქ ჩამოყალიბებულა რუსული საბრძოლო ხელოვნების სკოლა „ალექსანდრე ნეველი“, რომელიც რუსული საბრძოლო სულის აღორძინებას ემსახურებოდა. ამ ფაქტმა ძალიან დამაინტერესა. გულში კი გავიფიქრე – „ხედავ, რუსებს უკვე დაუწყიათ ამაზე ფიქრი, ჩვენ კი...“ გადავწყვიტე საკუთარი თვალით მენახა ეს სკოლა.

სკოლაში შესვლისას იმწამსვე თვალში მომხვდა შუასაუკუნოვან რუსულ ჯაჭვის პერანგებში და მუზარადებში გამოწყობილი ახალგაზრდები. ზოგი ფარიკაობით იყო დაკავებული, ზოგი ჭიდაობით. გავეცანი იქაურ მეურვეებს. ვუთხარი, რომ ქართველი ვარ და მაინტერესებს მათი სკოლის გაცნობა. „გაქვთ კი ქართველებს ამნაირი საბრძოლო ხელოვნებების სისტემები?“ – აი, ის პირველი კითხვა, რაც მათ მაშინ დამისვეს. მე გავიღიმე და პასუხის გაცემას ვაპირებდი, მაგრამ შევყოვნდი, რადგანაც მათი ფარიკაობის ტექნიკაში რაღაც ნაცნობი მოძრაობები შევნიშნე. დიახ, მათი დგომები და გადაადგილებები, შეტევები და დაცვები, ხმლითა და ფარით მოძრაობები ჩემთვის ახლობელი (ნაცნობი) იყო. ცნობილია, რომ შუასაუკუნეებში რუს მებრძოლებს გრძელი წაწვეტებული მუზარადები და ფარები ჰქონდათ. აქ კი მათ, მრგვალი ფარები ეპყრათ ხელთ, თანაც ფარსა და ხმალს ერთმანეთთან მიდებულს ხმარობდნენ. „ეს ხომ ჩვენი ხევსურული ჭრა-ჭრილობის (ფარიკაობის) ხელწერაა!“ – გავიფიქრე. ვკითხე, თუ საიდან სწავლობდნენ ისინი ფარ-ხმლის ფლობის ამნაირ ტექნიკას. მათ მითხრეს, რომ გააჩნიათ „ძველი რუსული ფარიკაობის მშვენიერი ნაშრომი“ და მაჩვენეს რუსულ ენაზე გამოცემული, შესანიშნავად ილუსტრირებული წიგნი: „В.Элашвили: "Хевсурское фехтование (Парикаоба)". ალბათ ძნელია იმის გამოხატვა, თუ რა განვიცადე იმ მომენტში. „ალექსანდრე ნეველის“ სკოლაში ვიპოვე წიგნი, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ვეძებდი...

ახლა პირიქით დავუსვი კითხვა: „იცით კი ვინ არიან ხევსურები, ან გვარი ელაშვილი არაფერს გეუბნებათ?“ მათ ხევსურები რუსეთის ერთ-ერთი პროვინციის, ჩრდილო კავკასიის ხალხებად მიაჩნდათ ანუ რუსეთად და გენახათ მათი სახეები, როდესაც აღმოჩნდა, რომ ისინი ქართველს მათ მიერ „დამახინჯებული“ ქართული საბრძოლო ხელოვნებით „ეპრანჭებოდნენ“, საკუთარი კითხვის გამო ძალიან უხერხულად იგრძნეს თავი...

1989 წელს ქართული საბრძოლო ხელოვნებების პიონერებმა და მიმდევრებმა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან ჩამოვაყალიბეთ „ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია“, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც თვით ასოციაციის დასახელებიდან ჩანს, იყო – კვლევა, ძიება, აღორძინება და დამკვიდრება, ფიზიკური წრთობის ქართული ეროვნული მეთოდებისა და სისტემებისა, რომლებიც დავიწყებას იყო მიცემული. იმავე წელს, აპრილში, მაშინდელმა ქართულმა პრესამ, რეაგირება მოახდინა ამ ფაქტზე. შეგვაქო წამოწყების თაობაზე, მაგრამ დასვა ჩემთვის უკვე კარგად ცნობილი კითხვა: „გვაქვს კი ქართველებს საბრძოლო ხელოვნებების სისტემები?“ და თვითონვე გასცა პასუხი: „ამგვარი მოძღვრება (ლაპარაკია ქართულ ტრადიციებზე დამყარებულ გამაჯანსაღებელ ვარჯიშთა სისტემაზე), სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს. რა თქმა უნდა, ცალკეული შეხედულებანი, აზრი შეიძლება ამოვკრიფოთ როგორც ჩვენი მწერლების თხზულებებიდან, ისე ხალხურ პოეზია-თქმულებებიდან, მაგრამ მოძღვრებას ვერ დავარქმევთ. მოძღვრება გულისხმობს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მყარ სისტემას. ამგვარი მოძღვრების არქონამ გული არ უნდა გაგვიტეხოს. ხომ შეიძლება ახალი შევქმნათ. ის, რაც გუშინ არ იყო, დღეს იქნება, რაც დღეს არ არის, ხვალ იქნება. ასე რომ, ასოციაციის მიზანი შექმნა უნდა იყოს, შემდეგ კი – საქმის პრაქტიკული განხორციელება...“ (გაზეთი „კომუნისტი“, 1989 წელი. 6 აპრილი).

რაო, ქართველო რაინდებო, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მყარი სისტემა არა გვაქვსო? გული არ გაიტეხოთო და ახალი სისტემა შევქმნათო?



მართლა ასეა, ჩვენი საქმე სინამდვილეში? ვინ ვართ ჩვენ, ქართველები? მხოლოდ ჩვენი მწერლების შემოქმედებიდან თუ ფოლკლორიდან ამოკრეფილმა ცალკეულმა შეხედულებებმა და აზრმა გადაარჩინა და XXI საუკუნემდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა?

**იური ყეინაშვილი,**
**საბრძოლო ხელოვნებების ოსტატი.**

სპეციალურად „ლელოსათვის“

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო“, №53, 54

## ჩემპიონთა ლიგა

# „ბოზბოლები“ მოგვიანებით ჩაებმებიან

ჩემპიონთა ლიგის პირველმა და მეორე საკვალიფიკაციო რაუნდებმა, ორგანიზატორების აზრით, უნდა „გაცხრილოს“ ამ შეჯიბრების საკმაოდ ჭრელი და არათანაბარი შემადგენლობა.

ახლა კი ვნახოთ, ვისთან მოუხდებათ შეხვედრა იმ კლუბებს, ვინც ამ ორ ჯებირს დასძლევს, მათ შორის თბილისის „დინამოს“, თუკი იგი კიშინიოვის „ზიმბრუს“ დაამარცხებს.

მესამე საკვალიფიკაციო რაუნდიდან (10-11 აგვისტო და 24-25 აგვისტო) ბძოლაში ჩაებმებიან პერსონალურად მიწვეული კლუბები: მოსკოვის „სპარტაკი“ (რუსეთი), ფლორენციის „ფიორენტინა“ (იტალია), „პარმა“ (იტალია), ბერლინის „ჰერტა“ (გერმანია), დორტმუნდის „ბორუსია“ (გერმანია), „მალიორკა“ (პალმა-დე-მალიორკა, ესპანეთი), „ვალენსია“ (ესპანეთი), „ლიონი“ (საფრანგეთი), პსვ „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია), ლონდონის „ჩელსი“ (ინგლისი), პორტუს „ბოავიშტა“ (პორტუგალია), ათენის აეკ-ი (საბერძნეთი), „ტეპლიცე“ (ჩეხეთი), გრაცის „შტურმი“ (ავსტრია), ზაგრების „კროაცია“ (ხორვატია), სტამბოლის „გალათასარაი“ (თურქეთი), „ოლბორგი“ (დანია) და ჟენევის „სერვეტი“ (შვეიცარია).

მესამე რაუნდში გამარჯვებული კლუბები განაწილდებიან ჩემპიონთა ლიგის ძირითადი ასპარეზობის ჯგუფებში, სადაც თავის მხრივ, პერსონალურად მიწვეულია ამ მომენტისათვის ევროპის 16 უძლიერესი კლუბი: „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), „მილანი“ (იტალია), რომის „ლაციო“ (იტალია), მიუნხენის „ბაიერნი“ (გერმანია), ლევერკუზენის „ბაიერ-04“ (გერმანია), „ბარსელონა“ (ესპანეთი), მადრიდის „რეალი“ (ესპანეთი), „ბორდო“ (საფრანგეთი), მარსელის „ოლიმპიკი“ (საფრანგეთი), როტერდამის „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია), ტილბურგის „ვილემ II“ (ჰოლანდია), ლონდონის „არსენალი“ (ინგლისი), „პორტუ“ (პორტუგალია), პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი), პრაღის „სპარტა“ (ჩეხეთი) და ტრონჰეიმის „რუსენბორგი“ (ნორვეგია).

### ჩემპიონთა ლიგის კალენდარი

14 ივლისი — პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი. პირველი მატჩები
21 ივლისი — პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩები.
28 ივლისი — მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი. პირველი მატჩები.
4 აგვისტო — მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩები.
10-11 აგვისტო — მესამე საკვალიფიკაციო რაუნდი. პირველი მატჩები.
24-25 აგვისტო — მესამე საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩები.
26 აგვისტო — პირველი ჯგუფური ეტაპის წილისყრა (32 კლუბი)
14-15 სექტემბერი — პირველი ტური
21-22 სექტემბერი — მეორე ტური
28-29 სექტემბერი — მესამე ტური
19-20 ოქტომბერი — მეოთხე ტური
26-27 ოქტომბერი — მეხუთე ტური
2-3 ნოემბერი — მეექვსე ტური
5 ნოემბერი — მეორე ჯგუფური ეტაპის წილისყრა (16 კლუბი)
23-24 ნოემბერი — მეშვიდე ტური
7-8 დეკემბერი — მერვე ტური
2000 წლის 29 თებერვალი — 1 მარტი — მეცხრე ტური
7-8 მარტი — მეათე ტური
14-15 მარტი — მეთერთმეტე ტური
21-22 მარტი — მეთორმეტე ტური
24 მარტი — მეოთხედფინალების წილისყრა
4-5 აპრილი — მეოთხედფინალები. პირველი მატჩები
18-19 აპრილი — მეოთხედფინალები. საპასუხო მატჩები
2-3 მაისი — ნახევარფინალები. პირველი მატჩები
9-10 მაისი — ნახევარფინალები. საპასუხო მატჩები
24 მაისი — ფინალური მატჩი



*ბარსელონა. 26.5.1999. „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ბაიერნი“ 2-1 (გოლები: ბასლერი – 1-0, შერინგემი – 1-1, სოლსკიაერი – 2-1). სურათზე: მატჩის უკანასკნელი წამები, სოლსკიაერის გოლი გერმანელთა კარში.*

## მონაწილე კლუბების კოეფიციენტები ისინი, ვინც პირდაპირ ძირითად ტურნირში მოხვდა

1. მიუნხენის „ბაიერნი“ (გერმანია) — 90,749
2. რომის „ლაციო“ (იტალია) — 86,606
3. „ბარსელონა“ (ესპანეთი) — 79,814
4. მადრიდის „რეალი“ (ესპანეთი) — 74,814
5. „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — 72,144
6. „მილანი“ (იტალია) — 66,606
7. როტერდამის „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) — 56,908
8. „ბორდო“ (საფრანგეთი) — 56,721
9. ლევერკუზენის „ბაიერ-04“ (გერმანია) — 54,749
10. „პორტუ“ (პორტუგალია) — 52,358
11. მარსელის „ოლიმპიკი“ (საფრანგეთი) — 43,721
12. ტრონჰეიმის „რუსენბორგი“ (ნორვეგია) — 41,866
13. ლონდონის „არსენალი“ (ინგლისი) — 40,144
14. პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — 36,475
15. პრაღის „სპარტა“ (ჩეხეთი) — 26, 812
16. ტილბურგის „ვილემ II“ (ჰოლანდია) — 23,908

### მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის მონაწილეები

1. „პარმა“ (იტალია) — 87,606
2. დორტმუნდის „ბორუსია“ (გერმანია) — 84,749
3. მოსკოვის „სპარტაკი“ (რუსეთი) — 62,912
4. ლონდონის „ჩელსი“ (ინლისი) — 58,144
5. პსვ „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — 49,908
6. „ლიონი“ (საფრანგეთი) — 49, 721
7. ფლორენციის „ფიორენტინა“ (იტალია) — 44,606
8. „ვალენსია“ (ესპანეთი) — 40,814
9. „მალიორკა“ (პალმა-დე-მალიორკა, ესპანეთი) — 38,814
10. ათენის აეკ-ი (საბერძნეთი) — 38,475
11. სტამბოლის „გალათასარაი“ (თურქეთი) — 31,175
12. ზაგრების „კროაცია“ (ხორვატია) — 25,187
13. ბერლინის „ჰერტა“ (გერმანია) — 22,749
14. პორტუს „ბოავიშტა“ (პორტუგალია) — 21,358
15. გრაცის „შტურმი“ (ავსტრია) — 21,187
16. „ოლბორგი“ (დანია) — 14,525
17. ჟენევის „სერვეტი“ (შვეიცარია) — 12,000
18. „ტეპლიცე“ (ჩეხეთი) — 11,812

### „განთესილი“ კლუბები – მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის მონაწილეები

1. კიევის „დინამო“ (უკრაინა) — 40,145
2. „ბრონდბიუ“ (დანია) — 38,525
3. ვენის „რაპიდი“ (ავსტრია) — 35,187
4. სტამბოლის „ბეშიქთაში“ (თურქეთი) — 29,175
5. „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — 22,312
6. სტოკჰოლმის აიკ-ი (შვეცია) — 18,662
7. მოსკოვის ცსკა (რუსეთი) — 16,912
8. ლოძის „ვიძევი“ (პოლონეთი) — 16,625
9. ბუქარესტის „რაპიდი“ (რუმინეთი) — 16,100
10, თბილისის „დინამო“ (საქართველო) — 16,083
11. „გენკი“ (ბელგია) — 14,800
12. ბრატისლავის „სლოვანი“ (სლოვაკია) — 14,166
13. ბუდაპეშტის მტკ (უნგრეთი) — 12,833
14. „რიეკა“ (ხორვატია) — 10,187

### მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის მონაწილე დანარჩენი კლუბები



1. „მიოლდე“ (ნორვეგია) — 9,866
2. ფამაგუსტას „ანორტოსისი“ (კვიპროსი) — 9,332
3. მარიბორის „ბრანიკი“ (სლოვენია) — 7,415
4. ჰაიფის „ჰაპოელი“ (ისრაელი) — 5,770
5. მოგილიოვის „დნეპრ-ტრანსმაში“ — 4,541

### „განთესილი“ კლუბები – პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის მონაწილეები

1. ბელგრადის „პარტიზანი“ (იუგოსლავია) — 7,124
2. რიგის „სკონტო“ (იტალია) — 6,291
3. კიშინიოვის „ზიმბრუ“ (მოლდავეთი) — 6,166
4. ლოვეჩის „ლიტექსი“ (ბულგარეთი) — 4,791
5. ვალკეაკოსკის „ჰაკა“ (ფინეთი) — 4,520
6. ვილნიუსის „ჟალგირის“ (ლიტვა) — 4,416
7. „ვესტმანაეიარი“ (ისლანდია) — 3,166
8. სკოპიეს „სლოგა იუგომაგნატი“ (მაკედონია) — 2,457
9. „ბარი თაუნი“ (უელსი) — 1,916

### პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის მონაწილე დანარჩენი კლუბები

1. ტალინის „ცემენტი“ (ესტონეთი) — 1,291
2. ერევნის „ცემენტი“ (სომხეთი) — 1,208
3. ბელფასტის „გლენტორანი“ (ჩრდ. ირლანდია) — 0,999
4. დუბლინის „სენტ-პატრიკს ატლეტიკი“ (ირლანდია) — 0,916
5. „ლა-ვალეტა“ (მალტა) — 0,749
6. „ხბ ტორსჰავი“ (ფარერები) — 0,624
7. „ტირანა“ (ალბანეთი) — 0,583
8. ეშის „ჟენესი“ (ლუქსემბურგი) — 0,583
9. განჯის „ქიაფაზი“ (აზერბაიჯანი) — 0,458

# დიდი გეგმები აქვს...

***–ცნობილ იტალიელ მწვრთნელს ფაბიო კაპელოს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ „რომას“ ჩაუდგა სათავეში.***

კაპელო ფიქრობს, რომ „რომას“ სჭირდება ცენტრალური ნახევარმცველი, აგრეთვე განაპირა ნახევარმცველი და ცენტრალური მცველი. ცენტრალური ნახევარმცველის პოსტზე სამი კანდიდატია, თუმცა მათგან ჯერ კიდევ საჭიროა თანხმობის მიღება — ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფი, რომელიც, როგორც ეტყობა, უნდა გამოეთხოვოს მადრიდის „რეალს“, აგრეთვე ბრაზილიელები მარკოს ვამპეტა და მარკო ასუნსაო. მარჯვენა ნახევარმცველის პოსტზე კაპელო აპირებს მიიწვიოს ბრაზილიელი რიკარდინი — „კორინთიასიდან“. ამ 23 წლის ფეხბურთელისთვის მისი ახლანდელი კლუბი 6 მილიონ დოლარს ითხოვს. გარდა ამისა, თუ საამისო შესაძლებლობა ექნება, კაპელო აპირებს შეიძინოს განთქმული ბრაზილიელი მცველი მადრიდის „რეალიდან“ რობერტო კარლოსი და „ბარსელონაში“ დიდი წარმატებით მოთამაშე ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი ლუის ენრიკე.

როგორც ცნობილია, კაპელომ „რომაში“ ცნობილი ჩეხი სპეციალისტი ზდენეკ ზემანი შეცვალა, რომლის ხელმძღვანელობითაც დედაქალაქის კლუბმა დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია.

### ხულიგნების წინააღმდეგ

ჰოლანდიის იუსტიციის მინისტრმა ბენკ კორტჰალსმა განაცხადა, რომ ყოველნაირად შეეცდება მიიღონ კანონი საფეხბურთო ხულიგნობის წინააღმდეგ.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იქნება ხულიგნების 12 დღით დაპატიმრება. ჯერჯერობით პოლიცია მეტად ლიბერალურად იქცევა. იგი აპატიმრებს ხულიგანს, მაგრამ, როცა იღებს დაპირებას შემდგომში „სამაგალითო მოქცევის“ შესახებ, მაშინვე ათავისუფლებს.

კორტჰალსის იდეას ჯერ მინისტრთა კაბინეტმა უნდა დაუჭიროს მხარი, შემდეგ კი კანონპროექტი დასამტკიცებლად პარლამენტს გადაეგზავნება.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ჯოვანი 6,13 მილიონ დოლარად

მიღწეულია შეთანხმება ბრაზილიელ ნახევარმცველ ჯოვანის „ბარსელონადან“ პირეოსის „ოლიმპიაკოსში“ გადასვლის შესახებ. ბერძნებმა ბრაზილიელში 6,13 მილიონი დოლარი გადაიხადეს.

„ძალიან დიდხანს გვქონდა მოლაპარაკება „ბარსელონასთან“. ახლა, მადლობა ღმერთს, ყველაფერი გადაწყდა“ — განაცხადა „ოლიმპიაკოსის“ წარმომადგენელმა.

ჯოვანი იმ 9 ფეხბურთელის სიაში იყო, რომელთა გაყიდვასაც კატალონიელები აპირებდნენ. ბრაზილიელს თითქმის მთელი ბოლო სეზონი გაუცდა მწვრთნელ ვან გაალთან უთანხმოების გამო.

### „ზიმბრუ“, „ჰამბურგი“, „ზენიტი“

შარშან მოლდავურმა „ზიმბრუმ“ ნიჭიერი ნახევარმცველი ალექსანდრ კურტიანუ ბუნდესლიგის კლუბ „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ ათხოვა. მოლდაველი გერმანულ კლუბში კარგად თამაშობდა, მაგრამ, როცა იჯარის ვადა დასრულდა, სანკტ-პეტერბურგში ჩავიდა და „ზენიტთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### უკრაინა უმაღლეს ლიგას ამცირებს

უკრაინის პროფესიული საფეხბურთო ლიგის გადაწყვეტილებით 2000-2001 წლების სეზონიდან უმაღლესი ლიგის მონაწილეთა რაოდენობა 16 კლუბიდან 14-მდე შემცირდება.

ეს ლიგის მდივანმა დმიტრი რეზნიკმა იმით ახსნა, რომ ევროპული კალენდარი მეტისმეტად გადატვირთულია, რაც პირველ რიგში ქვეყნის პირველ კლუბს, კიევის „დინამოს“ ეხება, რომელიც ყოველთვის რამდენიმე ფრონტზე იბრძვის.

## იაპონიის ნაკრების ბრაზილიელი კაპიტანი

**ამ ფეხბურთელმა ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში მიიპყრო ყურადღება, ახლახან დამთავრებულ „Copa America“-ზე კი კვლავ გაახსენა თავი სპორტულ სამყაროს. ლაპარაკია იაპონიის ნაკრების ბრაზილიელ კაპიტან ვაგნერ ლოპესზე, რომელსაც ახლა რო პაი სოო ჰქვია.**

ვაგნერ ლოპესი დაიბადა 1969 წლის 29 იანვარს, სან-პაულუში. იგი 1 მ. 82 სმ. სიმაღლისაა, 75 კგ იწონის, თავდამსხმელია.

ამჟამად იაპონიის ლიგაში უამრავი უცხოელი გამოდის. მათ შორის ზოგი განთქმული ოსტატიც კია. ამ ათეული წლის წინათ იაპონურ კლუბებში თითო-ოროლა საზღვარგარეთელი თუ გამოდიოდა. 1987 წელს ერთმა საქმოსანმა, კლუბ „ნისანის“ შექმნას რომ აპირებდა, ვაგნერ ლოპესი მიიწვია. იგი პირველი ბრაზილიელი აღმოჩნდა, რომელმაც ამომავალი მზის ქვეყანაში დაიწყო თამაში. შემდეგ მის გაკვალულ გზას გაჰყვა თვით ზიკო, რომელმაც დიდი ჰონორარის გამო ბრაზილიის სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პოსტიც კი დატოვა. აქ თამაშობდა ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი დუნგა და არაერთი სხვა ცნობილი ოსტატიც.

დასაწყისში ლოპესი, ეტყობა, ცოტაოდენი ფულის შოვნას და ისე, სხვათა შორის, თამაშს აპირებდა, მაგრამ შემდეგ მისი გეგმები შეიცვალა და იაპონიას სერიოზულად დაუკავშირდა. „ნისანთან“ ხელშეკრულება რომ დაუმთავრდა, „ხიტაჩიში“ გადავიდა, იქიდან კი იაპონიის 1994 წლის ჩემპიონ „კასიმა რეისოლში“. ამას „ჰონდა გიკელსა“ და „ბელმარ ხირაცუკაში“ თამაში მოჰყვა. ლოპესმა 1992, აგრეთვე 1995-96 წლებში იაპონიის ჯეი-ლიგის საუკეთესო სნაიპერის სახელიც მოიპოვა.

1997 წელს, როცა იაპონიის ნაკრებს მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშებში მონაწილეობა ელოდა, მის ხელმძღვანელობას ასეთი იდეა დაებადა: ლოპესისათვის იაპონიის მოქალაქეობა შეეთავაზებინა. ბევრისთვის ეს ძალზე საჩოთირო საკითხი გახლავთ — ძნელია საკუთარ სამშობლოზე უარის თქმა. ლოპესს, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს არ გაუჭირდა. „მე ბევრ იაპონელზე მეტად იაპონელი ვარ“ — განაცხადა მან. წმინდა სპორტული თვალსაზრისით ბრაზილიელის გადმობირებამ მეტისმეტად გაამართლა. ლოპესმა ნაკრების 10 მატჩში 4 გოლი გაიტანა. მოხდა ისე, რომ იაპონელებს სწორედ ამ გოლებმა მოუტანა წარმატება.

თანდათანობით ექს-ბრაზილიელი იაპონური ფეხბურთის ნამდვილი ფანატიკოსი გახდა. იგი თავისი დედის დასაფლავებასაც კი არ დასწრებია ბრაზილიაში, რადგან მალაიზიელებთან შესარჩევი ციკლის მეტად მნიშვნელოვან მატჩში უნდა ეთამაშა. ეს, ცოტა არ იყოს, უხერხული საქციელი რომ აეხსნა, ლოპესმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში. დედაჩემი ყოველთვის ხელს მიწყობდა, იგი ჩემს გულშია. როცა ამ მატჩში ვთამაშობდი, ჩემს გვერდით დედაჩემის ყოფნას ვგრძნობდი, რომელიც ყოველნაირად მეხმარებოდა“.

მას შემდეგ, რაც ხიდეტოსი ნაკატამ და კაზუ მიურამ ევროპას მიაშურეს, ვაგნერ ლოპესი იაპონიის ნაკრების კაპიტანი გახდა. ახლა გუნდისათვის მთავარია მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატისათვის მზადება. მანამდე ნაკრებს ბევრი ღონისძიება აქვს დაგეგმილი. რა თქმა უნდა, არც „Copa America“-ზე მიპატიჟება იყო ურიგო. ის რომ, ლოპესი ნამდვილი სნაიპერია, მან თუნდაც ამ შეჯიბრებაზე დაამტკიცა. პერუელთა კარში სწორედ მან გაიტანა გოლი.

2002 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონატი გათამაშდება, ვაგნერ ლოპესი ან რო პაი სოო 33 წლისა იქნება. ბევრი ხომ არ არის? თვით ბრაზილიელ-იაპონელი ასე არ ფიქრობს.

# ევროპის ყველა ჩემპიონატი

**ინგლისი 1996**

## გერმანია მესამედ!

### ბირჰოფის „ოქროს“ გოლი



ოლივერ ბირჰოფი

X ჩემპიონატში გუნდების რეკორდული რაოდენობა მონაწილეობდა – 48. შესარჩევ ტურნირში შეიქმნა რვა ჯგუფი, საიდანაც 15 ქვეყნის ნაკრები გავიდა შემდგომ ეტაპზე. ამ ნაკრებებს დაემატა ინგლისის გუნდი (როგორც მასპინძელი ქვეყანა) და შეიქმნა ოთხი ჯგუფი. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს მეოთხედფინალში ხვდებოდნენ, ხოლო შემდეგ ჩვეულებრივად გათამაშდა ნახევარფინალი და ფინალი. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი სიახლე, ამ ჩემპიონატზე შემოიღეს „ოქროს გოლის“ წესი.

საქართველოს ნაკრები პირველად მონაწილეობდა ჩემპიონატში, შერჩევით ჯგუფში გავიდა მე-3 ადგილზე. 10 შეხვედრაში 5-ში მოიპოვა გამარჯვება. აღსანიშნავია, საქართველოს ნაკრების გამარჯვება უელსისა (5-0) და ბულგარეთის ნაკრებთან. შესარჩევი თამაშების შემდეგ ჯგუფებში გამარჯვება მოიპოვეს და შემდგომ ეტაპზე გავიდნენ: I ჯგუფში – რუმინეთი და საფრანგეთი, II-ში – ესპანეთი და დანია, III-ში შვეიცარია და თურქეთი, IV-ში – ხორვატია და იტალია, V-ში – ჩეხეთი და ჰოლანდია, VI-ში პორტუგალია, VII-ში – გერმანია და ბულგარეთი, VIII-ში – რუსეთი და შოტლანდია.

კენჭისყრით შეიქმნა ოთხი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ:

*I. ინგლისი, შვეიცარია, ჰოლანდია, შოტლანდია.*

*II. ესპანეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საფრანგეთი.*

*III. გერმანია, ჩეხეთი, იტალია, რუსეთი.*

*IV. დანია, პორტუგალია, თურქეთი, ხორვატია.*

პირველი ჯგუფის ორივე შეხვედრა დამთავრდა ფრედ. ინგლისი – შვეიცარია 1-1; ჰოლანდია – შოტლანდია 0-0. პირველ მატჩში ყველა მოელოდა ინგლისელთა იოლ გამარჯვებას, მაგრამ მათ მხოლოდ მატჩის დასაწყისში გაუმართლეს იმედი თავიანთ გულშემატკივრებს. შეხვედრის 23-ე წუთზე ინსის პასით კარგად ისარგებლა შირერმა და გახსნა ანგარიში. მეორე ნახევარში ინგლისელთა შეტევებმა იკლო და შეხვედრის დასასრულს მათ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა პირსს და 11-მეტრიანი დარტყმა გამოიყენა თურქიელმაზმა. ფრე – 1-1. ჰოლანდია – შოტლანდიის ნაკრებთა შეხვედრაში ჰოლანდიელებმა მოაწოდეს 15 კუთხური, ხოლო შოტლანდიელებმა მხოლოდ 1. შესანიშნავად ითამაშა შოტლანდიელთა მეკარე ენდი გორამმა, რომელმაც რამდენიმე „მკვდარი“ ბურთის აღება შეძლო. საბოლოოდ ფრე – 0-0.

***რუმინეთი – საფრანგეთი 0-1.*** ერთადერთი ბურთი ამ მატჩში გავიდა ჯორკაეფის გადაცემის შემდეგ დიუგარის თავური დარტყმით, ამ ეპიზოდში აშკარად შეცდა რუმინელთა მეკარე სტელია. აღსანიშნავია, რომ ეს ნაკრებები შესარჩევ ეტაპზე ერთ ჯგუფში მოხვდნენ და იქაც იმარჯვეს ფრანგებმა.

***გერმანია – ჩეხეთი 2-0.*** ანგარიში 26-ე წუთზე გახსნა ციგემ, ხოლო 32-ე წუთზე მიოლერმა გაიტანა მეორე ბურთი. გაიმარჯვეს გერმანელებმა.

***იტალია – რუსეთი 2-1.*** შეხვედრის მე-5 წუთზე შეცდა ჩერჩესოვი და კაზირაგიმ გაიტანა ბურთი. ამ გოლის შემდეგ მთელი პირველი ნახევარი მიმდინარეობდა რუსეთის უპირატესობით, რომელთა რიგებში გამოირჩეოდა ციმბალარი და ლოგიკური იყო ის, რომ საპასუხო ბურთი სწორედ ციმბალარმა გაიტანა კარპინის გადაცემით. შეხვედრის მეორე ნახევარი კი აღინიშნა იტალიელთა უპირატესობით, რომელთა შორის გამოირჩეოდა ძოლა, 52-ე წუთზე მისი პასით კაზირაგიმ გაიტანა მეორე ბურთი ამ შეხვედრაში. საბოლოო ანგარიშია 2-1. ამ ჯგუფის მეორე ტურში გერმანიის ნაკრებმა 3-0 სძლია რუსეთის ნაკრებს, თავი გამოიჩინეს ზამერმა და კლინსმანმა ორჯერ. მინდვრიდან გააძევეს კოვტუნი.

მეოთხედფინალში გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

***ინგლისი – ესპანეთი 0-0 (4-2 პენ.)***

გუნდების შემადგენლობა – ***ინგლისი:*** სიმენი, გ. ნევილი, პირსი, ადამსი, საუთგეიტი, პლატი, გასკოინი, მაკმანამანი (ბარბი), შირერი, შერინგემი (სტოუნი), ანდერტონი (ფაულერი).

***ესპანეთი:*** სუბისარეტა, ბელსუე, ალკორტა, აბელარდო, სერხი, ნადალი, იერო, ამორი, კიკო, მანჩინი (კამინერო), სალინჩი (ალფონსი).

ინგლისელები, როგორც მოსალოდნელი იყო, დასაწყისშივე გადავიდნენ შეტევაზე და შირერი გავიდა სუბისარეტასთან პირისპირ, მაგრამ მეკარემ მოიგერია ბურთი. შეხვედრის მეორე ნახევარი მთლიანობაში მიმდინარეობდა ესპანელების კარნახით. მარტო კიკოს ორჯერ შეეძლო ანგარიშის გახსნა. მაგრამ ორივე ეპიზოდში მშვენივრად ითამაშა სიმენმა. შეხვედრის ძირითადი დრო – ფრე (0-0). დამატებითი დრო დაძაბული გამოდგა და სანახაობრივად საინტერესო, მაგრამ უშედეგო. 11-მეტრიანი დარტყმების სერიაში ბედმა ინგლისელებს გაუღიმა. პირველი დარტყმა გამოიყენა შირერმა, ხოლო იეროს დარტყმა ხარიხას მოხვდა, შემდეგ გოლები გაიტანეს: პლატმა, პირსმა, გასკოინმა, ამორმა, ბელსუემ, ხოლო ნადალის დარტყმა მოიგერია სიმენმა და ინგლისის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა.

***გერმანია – ხორვატია 2-1.*** შეხვედრის პირველი თხუთმეტი წუთი მიმდინარეობდა პოზიციურ ბრძოლაში, ხოლო შემდეგ თანდათან გამოიხატა ხორვატთა უპირატესობა და ყოვლად მოულოდნელი იყო კლინსმანის გოლი 11-მეტრიანი დარტყმით შეხვედრის 21-ე წუთზე, მას შემდეგ, რაც საჯარიმოში ხელით ითამაშა ერთ-ერთმა ხორვატმა ფეხბურთელმა. პირველი ნახევარი მიმდინარეობდა ხორვატთა უპირატესობით. გოლის გატანა შეეძლოთ: ბობანს, ფლაოვიჩს, შუკერს, მაგრამ, უშედეგოდ. შეხვედრის 51-ე წუთზე შუკერმა გაათანაბრა ანგარიში. გატანილი გოლის შემდეგ მე-7 წუთზე მსაჯმა გააძევა შტიმაცი, ხოლო 59-ე წუთზე ციგეს გადაცემას ზამერის გამარჯვების გოლი მოჰყვა.

***ჩეხეთი – პორტუგალია 1-0.*** მატჩის წინ პორტუგალიელებს არ ჰქონდათ არავითარი პრობლემა, ხოლო ჩეხებს ორი ყვითელი ბარათის გამო აკლდათ ნედვიდი. შეხვედრა მიმდინარეობდა უინტერესოდ, მაგრამ უხეშობის ზღვარზე, მსაჯმა მოთამაშეებს უჩვენა 9 ყვითელი ბარათი, ხოლო ლატალი გააძევა მინდვრიდან. გამარჯვების გოლი გაიტანა 53-ე წუთზე ჩეხმა პობორსკიმ. მან საჯარიმომდე, ჩამოიცილა ოთხი პორტუგალიელი მცველი და შენიშნა რა, რომ პორტუგალიელთა მეკარე ვიქტორ ბაია კარიდან გამოსული იყო, თავზე გადაუგდო ბურთი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთადერთი ნათელი წერტილი მთელ მატჩში. გოლის შემდეგ პორტუგალიელები თითქოს შეეცადნენ თამაშის გაძლიერებას, მაგრამ, ამაოდ. ამრიგად, ჩეხეთის ნაკრები გავიდა ფინალში.



პატრიკ ბერგერი

***საფრანგეთი – ჰოლანდია 0-0 (5-4 პენ.).***

გუნდების შემადგენლობა – ***საფრანგეთი:*** ლამა, ბლანი, ტიურამი, ლიზარაზუ, დესაი, დეშამი, კარამბე, გერენი, ჯორკაეფი, ზიდანი, ლოკო (დიუგარი 62, პედროსი, 81).

***ჰოლანდია:*** ვან დერ საარი, დე კოკი, რაიციგერი, ბოგარდი, ბლინდი, დე ბური, კრუიფი (ვინტერი, 69), ვიჩხე (მულდენი, 81), კოკუ, კლიუვერტი, ბერხკამპი (ზეედორფი, 60).

ეს იყო უღიმღამო თამაში. ძირითად დროში გოლის გატანა შეეძლოთ ლოკოს, ზეედორფს, ჯორკაეფს, მაგრამ კარგად თამაშობდნენ მეკარეები. ძირითადი დრო – ფრე 0-0. ვერც დამატებითმა დრომ შეცვალა რამე მინდორზე და ჯერი მიდგა 11-მეტრიან დარტყმებზე. ფრანგებმა გაიტანეს ხუთივე „პენალტი“ (ზიდანი, ჯორკაეფი, ლიზარაზუ, გერენი და ბლანი), ხოლო ჰოლანდიელებმა ოთხი (დე კოკი, დე ბური, კლიუვერტი და ბლინდი). ზეედორფის დარტყმა კი მოიგერია ლამამ.



დავორ შუკერი

***ნახევარფინალები: საფრანგეთი – ჩეხეთი 0-0 (5-6 პენ.)***

ამ მატჩში ჩეხებს აკლდათ ძირითადი შემადგენლობის 4 წევრი (ლატალი, სუხოპარეკი, კუკა და ბეიბლი). პირველი სახიფათო მომენტი შეიქმნა მე-60 წუთზე, როცა ჯორკაეფის დარტყმა კარის ხარიხას მოხვდა. მანამდე საინტერესო არაფერი მომხდარა. მიმდინარეობდა უხალისო და მშვიდი თამაში. ძირითადი დრო ფრე – 0-0. ასევე უშედეგოდ დამთავრდა დამატებითი დრო, ხოლო 11-მეტრიანების სერია უკეთ შეასრულეს ჩეხებმა. ორივე ნაკრების ხუთივე ფეხბურთელმა გაიტანა გოლი (ზიდანი, ჯორკაეფი, ლიზარაზუ, გერენი, ბლანი – კუბიკი, ნედვედი, ბერგერი, პრობორჟსკი, რადეკი). მეექვსე დარტყმა პედროსისა მოიგერია კოუბამ, ხოლო კადლეცის დარტყმა ზუსტი გამოდგა და ჩეხები ფინალში აღმოჩნდნენ.

***გერმანია – ინგლისი 1-1 (6-5 პენ.).*** ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა ინგლისელმა შირერმა. ამის შემდეგ გერმანელებმა თამაში დაალაგეს და მე-16 წუთზე ჰელმერის პასით კუნცმა გაათანაბრა ანგარიში. თითქმის მთელი მეორე ნახევარი მიმდინარეობდა ინგლისელთა უპირატესობით, მაგრამ სახიფათო მომენტი არცთუ ისე ხშირად იქმნებოდა გერმანელთა კართან. დამატებითი დრო შესანიშნავი სანახავი იყო. მოვლენები უმალ იცვლებოდა, ხან ერთ გუნდს შეეძლო „ოქროს გოლის“ გატანა და ხან მეორეს. უკეთესი შანსი ჰქონდათ: კუნცს, ანდერტონს, შირერს, ციგეს, მაგრამ, უშედეგოდ. ორივე გუნდმა 11-მეტრიანების პირველი 5-5 სერია გამოიყენა (შირერი, პლატი, პირსი, გასკოინი, შერინგემი – ჰესლერი, შტრუნცი, როიტერი, ციგე, კუნცი), ხოლო შემდეგ საუთგეიტმა ვერ გამოიყენა შანსი, მიოლერის დარტყმამ კი გერმანელები ფინალში გაიყვანა.

***ფინალი. გერმანია – ჩეხეთი 2-1 (დ.დ.).***

***გერმანია:*** კიოპკე, ბაბელი, ზამერი, ჰელმერი, აილტსი (ბოდე, 46), შტრუნცი, ციგე, შოლი (ბირჰოფი, 70), ჰესლერი, კლინსმანი, კუნცი.

***ჩეხეთი:*** კოუბა, სუხოპარეკი, კადლეცი, ჰორნიაკი, რადა, ბეიბლი, ნედვედი, ნემეცი, ბერგერი, პობორჟსკი (შმიცერი, 87), კუკა.

გერმანელებს ტრავმის გამო აკლდათ: კოლერი, ფროინდი და ბასლერი, აგრეთვე ორი ყვითელი ბარათის გამო – როიტერი და მიოლერი. მაგრამ მიუხედავად ამისა, თამაში გერმანელთა შეტევებით დაიწყო, ისინი მთლიანად აკონტროლებდნენ მოედნის ცენტრს. პირველი სახიფათო მომენტი შეიქმნა 32-ე წუთზე, როცა ჩეხთა მცველების შეცდომით ისარგებლა კუნცმა, გავიდა მეკარესთან პირისპირ და სცადა ბურთის თავზე გადაგდება, მაგრამ ცარიელი კარიდან რადამ გამოიტანა ბურთი. საუცხოო და დრამატული იყო ამ მატჩის მეორე ნახევარიც. შეხვედრის 59-ე წუთზე მსაჯის შეცდომის შემდეგ, როცა დანიშნა 11-მეტრიანი გერმანელთა კარში (ჯარიმა იყო, მაგრამ საჯარიმოს გარეთ), ბერგერმა გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ გერმანელთა მწვრთნელმა ფოგტსმა თამაშში შეიყვანა ბირჰოფი, რომელიც მატჩის გმირი გახდა. მან შემოსვლიდან სამი წუთის შემდეგ ციგეს ჩამოწოდებულს თავით მიუჩინა ადგილი მეტოქის კარის ბადეში. შეხვედრის ძირითადი დრო – 1-1. 97-ე წუთზე ბირჰოფმა მიიღო კლინსმანის გადაცემა, კარისკენ ზურგით მდგომმა მოახერხა შემოტრიალება და ცაციათი დაარტყა, ბურთმა გადაკვეთა კარის ხაზი, ეს იყო „ოქროს გოლი“ და აქ შეხვედრაც დამთავრდა. ამრიგად, 2-1 და გერმანიის ნაკრები გახდა ევროპის ჩემპიონი.



*ევროპის 1996 წლის ჩემპიონი – გერმანიის ეროვნული გუნდი. მარცხნიდან – ჰესლერი, მიოლერი, ჰერლიხი, ციგე, ჰელმერი, ფროინდი, აილტსი, ზამერი, ბაბელი, კიოპკე, კლინსმანი*

## ტექნიკური შედეგები

### შესარჩევი ეტაპი

*I ჯგუფი*

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 18-9 | 21 |
| 2. საფრანგეთი | 10 | 5 | 5 | 0 | 22-2 | 20 |
| 3. სლოვაკია | 10 | 4 | 2 | 4 | 14-18 | 14 |
| 4. პოლონეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 14-12 | 13 |
| 5. ისრაელი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-13 | 12 |
| 6. აზერბაიჯ. | 10 | 0 | 1 | 9 | 2-29 | 1 |

*II ჯგუფი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 25-4 | 26 |
| 2. დანია | 10 | 6 | 3 | 1 | 19-9 | 21 |
| 3. ბელგია | 10 | 4 | 3 | 3 | 17-13 | 15 |
| 4. მაკედონია | 10 | 1 | 4 | 5 | 9-18 | 7 |
| 5. კვიპროსი | 10 | 1 | 4 | 5 | 6-20 | 7 |
| 6. სომხეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 5-17 | 5 |

*III ჯგუფი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 8 | 5 | 2 | 1 | 15-7 | 17 |
| 2. თურქეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 16-8 | 15 |
| 3. შვედეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 9-10 | 9 |
| 4. უნგრეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-13 | 8 |
| 5. ისლანდია | 8 | 1 | 2 | 5 | 3-12 | 5 |

*IV ჯგუფი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 10 | 7 | 2 | 1 | 22-5 | 23 |
| 2. იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 20-6 | 23 |
| 3. ლიტვა | 10 | 5 | 1 | 4 | 13-12 | 16 |
| 4. უკრაინა | 10 | 4 | 1 | 5 | 11-15 | 13 |
| 5. სლოვენია | 10 | 3 | 2 | 5 | 13-13 | 11 |
| 6 ესტონეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 3-31 | 0 |

*V ჯგუფი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 21-6 | 21 |
| 2. ჰოლანდია | 10 | 6 | 2 | 2 | 23-5 | 20 |
| 3. ნორვეგია | 10 | 6 | 2 | 2 | 17-7 | 20 |
| 4. ბელორუსია | 10 | 3 | 2 | 5 | 8-13 | 11 |
| 5. ლუქსემბ. | 10 | 3 | 1 | 6 | 3-21 | 10 |
| 6. მალტა | 10 | 0 | 2 | 8 | 2-22 | 2 |

*VI ჯგუფი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალ. | 10 | 7 | 2 | 1 | 29-7 | 23 |
| 2. ირლანდია | 10 | 5 | 2 | 3 | 17-11 | 17 |
| 3. ჩრდ.ირლან. | 10 | 5 | 2 | 3 | 20-15 | 17 |
| 4. ავსტრია | 10 | 5 | 1 | 4 | 29-14 | 16 |
| 5. ლატვია | 10 | 4 | 0 | 6 | 11-20 | 12 |
| 6. ლიხტენშტ. | 10 | 0 | 1 | 9 | 1-40 | 1 |

*VII ჯგუფი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 10 | 8 | 1 | 1 | 27-10 | 25 |
| 2. ბულგარეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 24-10 | 22 |
| **3. საქართვ.** | 10 | 5 | 0 | 5 | 14-13 | 15 |
| 4. მოლდოვა | 10 | 3 | 0 | 7 | 11-27 | 9 |
| 5. უელსი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-19 | 8 |
| 6. ალბანეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-16 | 8 |

*VIII ჯგუფი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 34-5 | 26 |
| 2. შოტლანდ. | 10 | 7 | 2 | 1 | 19-3 | 23 |
| 3. საბერძნეთი | 10 | 6 | 0 | 4 | 23-9 | 18 |
| 4. ფინეთი | 10 | 5 | 0 | 5 | 18-18 | 15 |
| 5. ფარერები | 10 | 2 | 0 | 8 | 10-35 | 6 |
| 6. სან-მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 2-36 | 0 |

დამატებითი შეხვედრა ფინალურ ეტაპზე გასასვლელად:

***ჰოლანდია – ირლანდია 2-0***

### ფინალური ჯგუფი

*A ჯგუფი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 2. ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 3. შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 4 |
| 4. შვეიცარია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

*B ჯგუფი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგ. | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 3. ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 4. რუმინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-4 | 0 |

*C ჯგუფი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 2. ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| 3. იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. რუსეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |

*D ჯგუფი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალ. | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 3. დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 4. თურქეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-3 | 0 |

### მეოთხედფინალი

გერმანია – ხორვატია 2-1
ჩეხეთი – პორტუგალია 1-0
საფრანგეთი – ჰოლანდია 0-0 (5-4 პენ.)
ინგლისი – ესპანეთი 0-0 (4-2 პენ.)

### ნახევარფინალი

გერმანია – ინგლისი 1-1 (7-6 პენ.)
ჩეხეთი – საფრანგეთი 0-0 (6-5 პენ.)

### ფინალი

***გერმანია – ჩეხეთი 2-1 (დ.დ.)***

***გერმანია:*** კიოპკე, ბაბელი, ზამერი, ჰელმერი, აილტსი (ბოდე, 46), შტრუნცი, ციგე, შოლი (ბირჰოფი, 70), ჰესლერი, კლინსმანი, კუნცი.

***მწვრთნელი:*** ბ. ფოგტსი

***ჩეხეთი:*** კოუბა, სუხოპარეკი, კადლეცი, ჰორნიაკი, რადა, ბეიბლი, ნედვედი, ნემეცი, ბერგერი, პობორჟსკი (შმიცერი, 87), კუკა.

***გოლები:*** ბერგერი 59 (0-1); ბირჰოფი 73; 97 (1-1, 2-1).

***მსაჯი:*** პ. პაირეტო (იტალია).

***ბომბარდირი:*** დ. შუკერი (ხორვატია) – 15 ბურთი.

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 30 ივლისიდან, ლას-ვეგასში

*30 ივლისიდან ჭადრაკის სამყაროს ერთთვიანი ციებ-ცხელება დაუდგება. იწყება მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი ვაჟთა შორის ნოკაუტ-სისტემით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამარცხებული მყისვე ტოვებს შეჯიბრებას. ასე, მონაწილეების რიცხვი შემცირდება, შემცირდება და მეშვიდე, საბოლოო ეტაპისათვის დარჩება სულ ორი დიდოსტატი. ისინი პატარა, სულ 6 პარტიისაგან შემდგარ მატჩს გაითამაშებენ და გამარჯვებულს მსოფლიო ჩემპიონის (ფიდეს ვერსიით) წოდება მიენიჭება. გამოჩენილ დიდოსტატთა დიდი ჯგუფი (მათ შორის ზურაბ აზმაიფარაშვილი და ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი) ბრძოლაში პირდაპირ მეორე წრიდან ჩაებმება.*

ახლა კი გადავხედოთ პირველი წრის წყვილებს და მცირეოდენი შენიშვნებიც დავურთოთ.

1. **სერგეი ტივიაკოვი** (რუსეთი, რეიტინგი 2627) — დმიტრი გურევიჩი (აშშ 2545). რეიტინგში ასეთი მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, აშკარა ფავორიტის დასახელება აქ შეუძლებელია. ახალგაზრდა რუსი დიდოსტატი იშვიათად მონაწილეობს საერთაშორისო შეჯიბრებებში, გურევიჩს კი წლების განმავლობაში ამის კარგი შესაძლებლობა აქვს.

2. **სერგეი დოლმატოვი** (რუსეთი, 2588) — პაველ კოცური (ყაზახეთი, 2511). დოლმატოვი გაცილებით უფრო მაღალი კლასის მოჭადრაკეა, მაგრამ ახალგაზრდა და ენერგიული კოცური. ბოლო ხანებში ბევრს თამაშობს, მათ შორის რუსეთის თასზეც და კარგი საბრძოლო მზადყოფნაც აქვს.

3. **რუსლან პონომარიოვი** (უკრაინა, 2609) — მუჰამედ ალ-მოდიახი (კატარი, 2530). 15 წლის უკრაინელი ბევრს მსოფლიო ჩემპიონობის მომავალ პრეტენდენტადაც კი მიაჩნია. მან, ეტყობა, აუცილებლად უნდა მოიგოს ეს შეხვედრა.

4. **ლევ ფსახისი** (ისრაელი, 2564) — ალონსო ზაპატა (კოლუმბია, 2554) აქ უპირატესობა აშკარად წარსულში საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონს უნდა მიენიჭოს.

5. **ნიკ დე ფირმიანი** (აშშ, 2610) — მიხეილ ქობალია (რუსეთი, 2537). 42 წლის დე ფირმიანი აშშ-ს ნაკრების წევრია და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს. 21 წლის ქობალიას სერიოზული საჭადრაკო კარიერა სულ ორიოდე წელია, რაც დაიწყო. ამ მატჩში შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ ჩვენ ერთგვარ უპირატესობას მაინც ქართველ მოჭადრაკეს ვანიჭებთ.

6. **პენ ძიაომინი** (ჩინეთი, 2574) — დარმენ სადვაკასოვი (ყაზახეთი, 2487). ჩინელი მოჭადრაკის ნამდვილი შესაძლებლობები ჩვენთვის უცნობია. ნორჩი ყაზახი დიდოსტატი აქამდე მხოლოდ ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობდა, წელს კი აშკარად გაძლიერდა.

7. **ალექსეი ერმოლინსკი** (აშშ, 2597) — კევინ სპრაგეტი (კანადა, 2523). აშკარა უპირატესობა ყოფილ სანკტ-პეტერბურგელს ექნება, რომელიც აშშ-ში გადასახლების შემდეგ პროფესიონალი მოჭადრაკე გახდა და ბევრ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს.

8. **ალექსეი ფეოდოროვი** (ბელორუსია, 2648) — რობერტ ზელჩიჩი (ხორვატია, 2554). სარეიტინგო უპირატესობა ფეოდოროვს აქვს, თუმცა, ვინ იცის...

9. **ვასილიოს კოტრონიასი** (საბერძნეთი, 2561) — სლიმ ბოაზისი (ტუნისი, 2387). ახალგაზრდა ბერძენმა დიდოსტატმა უნდა მოიგოს ეს მატჩი. ბოაზისი საერთაშორისო ოსტატია, ოდესღაც საზონათშორისო ტურნირში თამაშობდა, რომელიც სუსში (ტუნისი) გაიმართა 1967 წელს.

10. **ბორის გულკო** (აშშ, 2620) — დმიტრი რეინდერმანი (ჰოლანდია, 2541), ძალები ამ მატჩში აშკარად არათანაბარია. წარსულში საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი ახლა აშშ-ს უძლიერესი მოჭადრაკეა და ასე გასინჯეთ, მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან უკეთესი შედეგიც კი აქვს. ახალგაზრდა რეინდერმანმა ცხოვრებაში ერთხელ ითამაშა სუპერტურნირში, წელს ვეიკ-ან-ზეეში და სუსტი შედეგი ჰქონდა.

11. **ედუარდას როზენტალისი** (ლიტვა, 2577) — ლევონ არონიანი (სომხეთი, 2502). ძნელია, ვინმეს მიანიჭო უპირატესობა.

12. **რუსტამ კასიმჯანოვი** (უზბეკეთი, 2606) — კრისტიან ბაუერი (საფრანგეთი, 2528). ამ ორი სრულიად ახალგაზრდა დიდოსტატის მატჩში გარკვეული უპირატესობა უზბეკს ექნება. კასიმჯანოვმა მშვენივრად ითამაშა ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირში, ბაუერმა კი ახალგაზრდა დიდოსტატების წლევანდელ ტურნირში დაიკავა ... ბოლო ადგილი.

13. **ბორან დიზდარი** (ხორვატია, 2563) — ლჩან ჩონი (ჩინეთი, 2400). ამ ნაკლებად ცნობილი მოჭადრაკეების მატჩში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. დიზდარს უკეთესი რეიტინგი კი აქვს, მაგრამ, როდესაც ჩინელებთან გაქვს საქმე...

14. **ალექსეი ალექსანდროვი** (ბელორუსია, 2609) — ჯულიო რივერა (კუბა, 2535). ალექსანდროვი მსოფლიოს წინა ჩემპიონატში ზურაბ აზმაიფარაშვილმა დაამარცხა. ახლა კი მას რაიმე პრობლემები არ უნდა ჰქონდეს.

15. **ვლასტიმილ ბაბულა** (ჩეხეთი, 2565) — ტალ შაკედი (აშშ, 2477). ბაბულას უკეთესი რეიტინგის მიუხედავად, შაკეის ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს ჭაბუკთა შორის, რომელიც უამრავ შეჯიბრებაში მონაწილეობს და საბრძოლო გამოცდილება მიიღო კარგი შესაძლებლობა აქვს.

16. **იაან ელვესტი** (ესტონეთი, 2593) — ფრისო ნაიბური (ჰოლანდია, 2515). აქ ბევრი სადავო არ უნდა იყოს. თუ რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მოხდა, მეორე წრეში ელვესტი უნდა გავიდეს.

17. **ვლადიმირ აკოფიანი** (სომხეთი, 2640) — მაია ჩიბურდანიძე (საქართველო, 2551). ეს პირველი წრის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა გახლავთ. ერთი მხრივ, შეიძლება, მაიასათვის უფრო სასურველი ყოფილიყო ისეთი მეტოქე, რომელთან ბრძოლაში იოლად შეიძლებოდა მეორე წრეში გასვლა. შეიძლება საქმეს სხვა კუთხიდანაც შევხედოთ. რა არის ამჟამად მაიასათვის მთავარი? რა თქმა უნდა, ქალთა მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადება, რომელიც საკმაოდ მალე, 3 სექტემბერს იწყება და სადაც ქართველ მოჭადრაკეს თავისი, 1991 წელს, ცოტა არ იყოს, ალოგიკურად დაკარგული წოდების დაბრუნების იმედი აქვს. ბევრი ექსპერტი ამას სავსებით რეალურადაც კი თვლის. რახან ასეა, სჯობს ჩიბურდანიძე ლას-ვეგასში რაც შეიძლება ძლიერ მეტოქეს შეხვდეს. სწორედ ასეთია 27 წლის აკოფიანი, დიდოსტატი, რომელმაც თავისი გზა ბაქოში დაიწყო, ითვლებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნიჭიერ ჭაბუკ მოჭადრაკედ (მასზე ყოველთვის მაღალი აზრისა იყო გარი კასპაროვი, ხოლო ახლა აკოფიანს ზოგი „სომეხ აკიბა რუბინშტეინსაც“ კი უწოდებს ენდშპილში მაღალი ხელოვნების გამო), შემდეგ კი ერევანში დასახლდა და ამ ქვეყნის №1 მოჭადრაკე გახდა. ისე რომ, აკოფიან-ჩიბურდანიძის მიკრომატჩმა დიდი ინტერესი უნდა გამოიწვიოს. ვინ გაიმარჯვებს?

18. **როჯელიო ანტონიო** (ფილიპინები, 2558) — ალექსანდრ კოზაკი (რუსეთი, 2330). ამ ნაკლებად ცნობილ მოჭადრაკეებს შორის გამარჯვებულს მეორე წრეში რაიმე პერსპექტივა არ ექნება.

19. **ჟორდი ბადალსი** (ესპანეთი, 2557) — ვლადიმირ ფელდმანი (ავსტრალია, 2330). ამ წყვილზეც იგივე უნდა ითქვას, რაც წინაზე.

20. **ვლადისლავ ტკაჩევი** (საფრანგეთი, 2634) — სერჯიო ჰოფმანი (არგენტინა, 2547). ამ მატჩს, ეტყობა, ყოფილი ალმაათელი მოჭადრაკე მოიგებს, რომელიც სულ ახლახან საფრანგეთში გადასახლდა. ვთქვათ ისიც, რომ ტკაჩევი მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება ელვისებურ ჭადრაკში, ასე გასინჯეთ, მის ისეთ რადიკალურ ვარიანტშიც კი, როცა მოთამაშეს მთელი პარტიისათვის 5 კი არა, სულ 2 წუთი ეძლევა.

21. **ჯოელ ბენჯამინი** (აშშ, 2593) — პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია, 2515). ეს ის ბენჯამინია, რომლის შემწეობითაც კომპიუტერმა „დიპ ბლიუმ“ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან სენსაციური გამარჯვება იზეიმა. ბევრს ვერ ვიტყვით, მაგრამ მეორე წრეში ამერიკელი აუცილებლად უნდა გავიდეს.

22. **ჟუჟა პოლგარი** (უნგრეთი, 2565) — ესამ ახმედ მუჰამედი (ეგვიპტე, 2458). შეიძლება ცოტა უცნაურიც კი იყოს, რომ ჟუჟამ, რომელსაც სამწელიწადნახევარია, არსად უთამაშია, და, ამის გამო, მსოფლიო ჩემპიონობასაც გამოეთხოვა, ახლა ვაჟებთან ბრძოლა მოინდომა. ყოველ შემთხვევაში, იღბლიანი წილისყრის შედეგად, მას მეორე წრეში გასვლის მშვენიერი შესაძლებლობა აქვს).

**ბივი ბამრეკელი**

*(გაგრძელება იქნება)*



# რა ხდება ქვეყანაზე

## დაბრუნდება თუ არა ჯონსონი?

*კანადის მძლეოსნობის ფედერაცია სასტიკად ეწინააღმდეგება ცნობილი სპრინტერის ბენ ჯონსონის დაბრუნებას სპორტში.*



როგორც ცნობილია, იგი 1993 წლიდან სამუდამოდაა დისკვალიფიცირებული მას შემდეგ, რაც მეორედ ამხილეს დოპინგის მიღებაში. კანადის მძლეოსნობის ფედერაცია თვლის, რომ აპრილში საარბიტრაჟო მსაჯულმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ჯონსონს საერთაშორისო ფედერაციაში (იააფ-ი) აპელაციის შეტანის ნება დართო, რაც ადვოკატმა გააკეთა კიდეც. იააფ-ს აპელაციის განხილვა 17 აგვისტოსთვის აქვს დაგეგმილი. კანადის ფედერაცია თვლის, რომ ეს პროცესი არ უნდა შედგეს, თუ იააფი-ი „ჯონსონის საქმეს“ განიხილავს, ამით დიდ ზიანს მიაყენებდა კანადის ეროვნულ ფედერაციას და ქვეყნის ათლეტთა ინტერესებს – განაცხადა ამ ქვეყნის ფედერაციის წარმომადგენელმა საგანგებო პრესკონფერენციაზე.

## უარყო ხმები დაბრუნების შესახებ

„ქვეყანაზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს, კალათბურთში ჩემი დაბრუნების გარდა“ – განუცხადა კორესპონდენტს მაიკლ ჯორდანმა. „ჩიკაგოელი ხარების“ ექსსუპერვარსკვლავი ახლა 100 პროცენტითაა დარწმუნებული იმაში, რომ აღარ განაახლებს თავის კარიერას. შეგახსენებთ, რომ იანვრის დასაწყისში, როცა იგი ტოვებდა ნბა-ს, ასეთი ალბათობა დაუშვა 99,9 %-ით. ახლანდელი განცხადება კი დაკავშირებულია ხმებთან იმის შესახებ, რომ „ჩიკაგოს“ ყოფილმა მწვრთნელმა ფ. ჯექსონმა „ლოს-ანჯელეს ლეიკერზში“ მისვლისთანავე თავისი ყოფილი მოთამაშე მიიწვია ამ კლუბში.

# კვარცხლბეკის თემაზე







## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები





***23 ივლისი, პარასკევი***

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. საპასუხო შეხვედრები (13.20, 17.20). 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი (19.15), „ჩემპიონთა ლიგის არქივი“ (23.10). ***ESPN.*** ფეხბურთი. უმაღლესი ლიგა (4.00), ფეხბურთი. ევროპის ყოველკვირეული მიმოხილვა (8.30), ბილიარდი, მსოფლიოს ჩემპიონატი (15.00, 17.00, 22.30). ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (11.30, 14.30, 17.00, 2.00), ველოსპორტი. „ტურ დე ფრანსი“ (16.15, 18.30, 20.30).

***24 ივლისი, შაბათი***

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** „ამერიკის თასის“ ჰიტ-ალბუმი (13.55), „ყველა დროის მატჩები“, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი (16.25), ბრაზილიის ჩემპიონატი (19.15), „ამერიკის თასის“ მიმოხილვა (21.10), კონფედერაციის თასი: ბრაზილია – გერმანია (21.55), ახალი ზელანდია – აშშ (0.25), ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „აიაქსი“ – „ასტონ ვილა“ პირდაპირი რეპორტაჟი (3.00), „ფიორენტინა“ – „პანათინაიკოსი“ პირდაპირი რეპორტაჟი (5.30). ველოსპორტი. „ტურ დე ფრანსი“ (9.30), ბილიარდი. მსოფლიოს ჩემპიონატი (15.00, 17.00, 22.00, პირდაპირი ტრანსლაციები). ***EUROSPORT.*** ცურვა, ევროპის ჩემპიონატი (11.30, 16.00, 21.00, 22.00 23.30, 2.00), რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17.15), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (4.00).

**25 ივლისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ევროპის ახალგაზრდული თამაშები (23.35), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.40). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიის ჩემპიონატი (13.15), კონფედერაციის თასზე (15.00), სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატის მიმოხილვა (16.45), კონფედერაციის თასი (17.10, 21.55, 0.25 – მექსიკა – საუდის არაბეთი). „ჩემპიონთა ლიგის არქივი“. „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ბავარია“ (19.15), „ამერიკის თასის“ გათამაშების მიმოხილვა (21.00). ***ESPN.*** ველოსპორტი. „ტურ დე ფრანსი“ (13.30). ბილიარდი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00, 17.00, 22.00 – ფინალი, პირდაპირი ტრანსლაცია), ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (11.30, 15.00, 16.00, 22.00,). ველოსპორტი. „ტურ დე ფრანსი“ (17.00, 21.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (4.00).

**სპორტკომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ თანამშრომლები და სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ წარსულში სახელოვან წყალში მხტომელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ლიანა ცოტაძეს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს ოლიმპიური თამაშების პრიზიორს წყალში ხტომაში ლიანა ცოტაძეს მამის გარდაცვალების გამო.**





## კროსვორდი

**თარაზულად:** 7. ცნობილი მრბოლი („ფორმულა-1“), 8. აფროსნობის კლასი, 9. ცნობილი ვაჟი ჩოგბურთელი, 11. მშვილდოსნობის ინვენტარი, 12. წმინდა გამარჯვება ძიუდოში, 15. უცხოელი მწვრთნელი საქართველოში, 16. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 17. იტალიის ნაკრების ფეხბურთელი, 18. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 23. შეჯიბრება ავტომობილებით, 24. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია, 25. რაგბის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 27. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 30. ცნობილი მოჭადრაკე ქალი, 32. წარწერა (შემოკლებით) საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრთა მაისურზე, 35. წარსულში სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე, 36. საჭადრაკო ფიგურა, 38. იალქნიანი ანუ... 41. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 43. რუსეთის საფეხბურთო გუნდი, 44. სასროლეთი, 45. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი.

**შვეულად:** 1. წინასწარ მოცემული უპირატესობა, 2. ქართული სარაგბო გუნდი, 3. ესპანეთის მეორე დივიზიონის საფეხბურთო კლუბი, 4. შედეგი ჭადრაკში, 5. ლეგენდარული მოკრივე, 6. ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, 9ა. ილეთი ჭიდაობაში, 10. კარატეს მასწავლებელი, 13. ძალოსნობის პროგრამა, 14. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 19. მსოფლიოს სპორტული ფორუმი, 20. ქალალდის ერთგვარი თამაში, 21. კასიუს კლეის შემდგომი გვარი, 22. გერმანელი ჩოგბურთელი ქალი, 26. საფარიკაო იარაღი, 28. ცნობილი რუსი ძალოსანი, 29. ბილიარდის ჯოხი, 33. სპორტული შეფასების ერთეული, 34. ქართული ხალხური თამაშობა, 36. სპორტსმენის ჯილდო, 37. ასპარეზობის მონაკვეთი, 39. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 40. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 42. ფეხბურთის მეფე.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)





**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. კ:a2 c2 2. g8ე! მფ:a2.
3. ეg3 მფa1 4. ე:a3X.
1. ... მფ:a2 2. g8ლ+ .მფa1.
3. ლb3 a2(c2) 4. ლ:c3X(ლa3X).

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე